

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

თამარ ბალაძე

ფინანსური ბაზრის არსი და მისი ფუნქციონირების მექანიზმი

(ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი : ლია ბერიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ბიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ფინანსური ბაზარი მეტად რთული სისტემაა, რომელშიც საწარმოსა და სხვა მონაწილეების ფული და სხვა ფინანსური აქტივები დამოუკიდებლად მიმოიქცევა, რეალური საქონელის მიმოქცევის კავშირის გარეშე. აღნიშნული ბაზარი ოპერირებს მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტებით, ემსახურება სპეციფიკური ფინანსური ინსტიტუტები, ფლობს საკმაოდ განშტოებულ და მრავალფეროვან ფინანსურ სტრუქტურას.

საწარმოს ფინანსური საქმიანობა უწყვეტად არის დაკავშირებული ფინანსური ბაზრის საქმიანობასთან, მათი სახეობისა და სეგმენტის განვითარებასთან. ფინანსური ბაზარი თავისთავად ბაზარია, რომელზეც ყიდვა-გაყიდის ობიექტს მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები და ფინანსური მომსახურება წარმოადგენს.

ფინანსური ბაზრის სეგმენტაცია, სახეობების ინდივიდუალურ სეგმენტების მიზანმიმართული დაყოფის პროცესია, რომელიც მისგან ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევის თავისებურებით განსხვავდება. ასე, მაგალითად: საკრედიტო მოკლევადიანი საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზარი; გრძელვადიანი საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზარი; ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი და ა.შ. საფონდო ბაზრის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ისეთი სეგმენტები, როგორცაა: ობლიგაციის ბაზარი, აქციების ბაზარი და ა.შ. სადაზღვევო ბაზრის ჩარჩოებში გამოიყიფა ისეთი სეგმენტები, როგორცაა: სავალდებულო დაზღვევის ბაზარი, ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზარი, ამ უკანასკნელიდან შეიძლება კიდევ სადაზღვევო პროდუქტების ცალკეული მიკროსეგმენტები გამოიყოს.

ფინანსური ბაზრის განვითარების პროცესი ფინანსური რესურსების ერთი სახეობიდან და სეგმენტიდან მეორეში მუდმივი გადადინებით ხასიათდება. ასეთი გადადინების მაგალითია ბოლო წლებში საკმაოდ გავრცელებული სეკიურიტიზაციის პროცესი, რომელიც ოპერაციების საკრედიტო ბაზრიდან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გადაადგილებით ხასიათდება, რაც კრედიტების გამოყენებისას დანახარჯების შემცირების უზრუნველყოფას განაპირობებს.

ANNOTATION

The essence of the financial market and the mechanism of its functioning

The financial market is a very complex system in which the money and other financial assets of the enterprise and its other participants will be circulate independently without the connection of real goods circulation. The mentioned market operates through the multifarious financial instruments, serves specific financial institutions, possesses a rather branched and diverse financial structure.

The enterprise's financial activities are continuously connected with the activity of the financial market, their type and segment development. The financial market itself is a market where the buy-sell object is a diverse financial institution and financial service.

The segmentation of the financial market is a deliberate division of the individual segments of species, which differ from the peculiarity of the circulation of financial instruments from it. For example, credit short-term credit instruments market; Long-term credit instruments market; Interbank credit markets, etc. Stock markets can be divided into segments such as: bond market, stock market, derivatives market, etc. In the insurance market framework, segments such as the insurance market, voluntary insurance market, and the latter will be able to distinguish individual microorganisms from insurance products.

The process of financial market development is characterized by one of the financial resources of one of the sectors and the other in the segment. The example of such extinction is the most common sequestration process in recent years, which is characterized by transactions from the credit market to the securities market, which ensures the reduction of losses while using credits.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
თავი I. - ფინანსური ბაზრის ცნება, სახეობები, მონაწილეები და ფუნქციები	7
1.1 - ფინანსური ბაზრის ცნება	7
1.2 - ფინანსური ბაზრის მონაწილენი და მათი ფუნქციები	10
თავი II. - ფინანსური ბაზრის ძირითადი ინსტრუმენტები და მათი ფუნქციონირების მექანიზმები	14
2.1 - ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მიმოხილვა	14
2.2 - საკრედიტო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები	19
2.3 - ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები	21
2.4 - სავალუტო და სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები	24
2.5 - ოქროს ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები	27
თავი III - საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა და შედეგები	28
3.1 - საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება და პერსპექტივები	28
3.2 - საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა კომერციული ბანკების მაგალითზე (სტატისტიკური ანალიზი და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები).....	36
დასკვნა	53
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია	55
დანართი №1	56

შესავალი

თემის აქტუალობა. სამაგისტრო თემის აქტუალობას განსაზღვრავს მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თემის აქტუალობა დაკავშირებულია ფინანსური ბაზრის განვითარებისა და შესწავლის აუცილებლობასთან. ფინანსური ბაზრის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და საერთო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან. მისი განვითარება დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურისა და მისი ინსტიტუტების განვითარებასთან. ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაში, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის პერიოდში. ის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც საბაზრო პრინციპებზე ფუნქციონირებს და რაც განისაზღვრება შემდეგი ძირითადი ფუნქციებით: დროებით თავისუფალი კაპიტალის აქტიური მობილიზაციით, საინვესტიციო სფეროში კაპიტალის გამოყენების ყველაზე ეფექტიანი მიმართულებების შერჩევით, ფინანსური ინსტრუმენტების გამყიდველსა და მყიდველს შორის კვალიფიკაციური შუამავლობის განხორციელებით და სხვა.

თემის აქტუალობა იზრდება არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში, ფინანსური კრიზისის გამო. საკრედიტო ბაზრების სტაბილურობა და საკრედიტო ბაზრების ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მასზეა დამოკიდებული, ის თუ საბანკო სექტორი რამდენად შეძლებს ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თანამედროვე ფინანსური ბაზრის თეორიული საკითხების სრულყოფა, საქართველოში საკრედიტო სფეროს პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრის რეკომენდაციების მომზადება.

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზი;

როგორც ფინანსური ასევე საკრედიტო ბაზრის ძირითადი მიდგომების განხილვა;
ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების საქმიანობის ანალიზი;

კვლევის საგანი და პრობლემების ფორმულირება. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს როგორც ფინანსური ბაზრის განვითარებისა და ცვლილებების ფაქტორების, მეთოდების და მექანიზმების კვლევა, ასევე საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების მართვის განვითარებისა და ცვლილებების ფაქტორების, მეთოდების და მექანიზმების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრედიტო ურთიერთობების პროცესში დაკრედიტების რისკის შემცირებას, საკრედიტო ოპერაციების გამჭვირვალობის მიღწევას, საკრედიტო ინსტიტუტების კრედიტუნარიანობის საიმედო შეფასებას, საერთაშორისო და ეროვნული ფინანსური სტანდარტებით დადგენილი წესების დაცვას.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდი. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის ქართული და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები ფინანსების, საბანკო საქმიანობის, ფულის და კრედიტის დარგში. კვლევის პროცესში გამოყენებულია საერთო-მეცნიერული მეთოდები და საშუალებები, ლოგიკური, სისტემური საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციები და ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის ხერხები.

თავი I . ფინანსური ბაზრის ცნება, სახეობები, მონაწილეები და ფუნქციები

1.1 ფინანსური ბაზრის ცნება

ფინანსური ბაზარი წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების ნაკადების გადადინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებსკენ. ამასთან, ფინანსურ ბაზარს უწოდებენ ბაზარს, რომელზეც წარმოებს სახსრების გადაქაჩვა იმ პირებისგან, რომელთაც მათი სიჭარბე შეენიშნებათ, იმ პირებისაკენ, რომლებიც სახსრების ნაკლებობას განიცდიან.

ფინანსური ბაზარი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრად, ხოლო, მეორე მხრივ საბანკო სესხების ბაზრად. ობლიგაციათა და აქაციათა ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფულადი სახსრების იმ ეკონომიკური ერთეულების ხელიდან, რომელთაც მათი მწარმოებლურად გამოყენების უნარი არ შესწევთ, მოახვედრონ იმათ ხელში, ვინც მათ ეფექტიანად გამოიყენებს, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან მივყავართ.[2]

საწარმოს ფინანსური საქმიანობა უწყვეტად არის დაკავშირებული ფინანსური ბაზრის საქმიანობასთან, მათი სახეობისა და სეგმენტის განვითარებასთან, მისი კონიუნქტურის მდგომარეობასთან. ფინანსური ბაზარი თავისთავად ბაზარია, რომელზეც ყიდვა-გაყიდვის ობიექტს მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები და ფინანსური მომსახურებები წარმოადგენს. ფინანსური ბაზარი მეტად რთული სისტემაა, რომელშიც საწარმოსა და სხვა მონაწილეების ფული და სხვა ფინანსური აქტივები დამოუკიდებლად მიმოიქცევა, რეალური საქონელის მიმოქცევის კავშირის გარეშე. აღნიშნული ბაზარი ოპერირებს მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტებით, ემსახურება სპეციფიკური ფინანსური ინსტიტუტები, ფლობს საკმაოდ განშტოებულ და მრავალფეროვან ფინანსურ სტრუქტურას.

ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც საბაზრო პრინციპებზე ფუნქციონირებს, ფინანსური ბაზარი დიდ როლს ასრულებს, რაც განისაზღვრება შემდეგ ძირითად ფუნქციებით:

1. მრავალფეროვანი წყაროებიდან დროებით თავისუფალი კაპიტალის აქტიური მობილიზაციით.
2. აკუმულირებული თავისუფალი კაპიტალის მრავალფეროვან საბოლოო მომსახურებლებს შორის ეფექტური განაწილებით.
3. საინვესტიციო სფეროში კაპიტალის გამოყენების ყველაზე ეფექტიანი მიმართულებების შერჩევით.
4. ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და მომსახურებაზე, რომლებიც ყველაზე უფრო ობიექტურებად ასახავს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ჩამოყალიბებულ თანაფარდობას, საბაზრო ფასების ფორმირებით.
5. ფინანსური ინსტრუმენტების გამყიდველსა და მყიდველს შორის კვალიფიკაციური შუამავლობის განხორციელებით.
6. ფინანსური და კომერციული რისკის მინიმიზაციის პირობების ფორმირებით.
7. ეკონომიკური პროცესების აქტივიზაციის ხელშემწყობი კაპიტალის ბრუნვის დაჩქარებით.

ცნება „ფინანსური ბაზარი“ განსაზღვრული ზომიერებით შემგროვებელს, გამვრცობს წარმოადგენს. რეალურ პრაქტიკაში იგი ფინანსური ბაზრების ცალკეული სახეობების მრავალფეროვანი სისტემის მახასიათებელია.

ფინანსური ბაზრების ზემოთ განხილული სისტემატიზაცია შეიძლება აღნიშნული ბაზრების თითოეული სახეობების შესაბამისი სეგმენტაციის ხარჯზე იქნეს გაღრმავებული. ფინანსური ბაზრის სეგმენტაცია სახეობების ინდივიდუალურ სეგმენტების მიზანმიმართული დაყოფის პროცესია, რომელიც მისგან ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევის თავისებურებებით განსხვავდება. ასე, მაგალითად, მოკლევადიანი საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზარი, გრძელვადიანი საკრედიტო ინსტრუმენტების ბაზარი, ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი და ა.შ. სადაზღვეო ბაზრის ჩარჩოებში გამოიყოფა ისეთი სეგმენტები, როგორიცაა: სავალდებულო დაზღვევის

ბაზარი, ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზარი, ამ უკანასკნელიდან შეიძლება კიდევ სადაზღვეო პროდუქტების ცალკეული მიკროსეგმენტები გამოიყოს.

ფინანსური ბაზრის სტრუქტურა: აქციათა ბაზარი, ობლიგაციათა ბაზარი, პირველადი ბაზარი, მეორადი ბაზარი, საფონდო ბაზარი და არასაბირჟო ბაზარი, ფულადი ბაზარი, კაპიტალის ბაზარი, სავალუტო ბაზარი.[1, გვ.204-205]

ამჟამად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების სამი ძირითადი ბაზარი : პირველადი(არასაბირჟო),მეორადი (საფონდო) და ბირჟის გარეშე. პირველადი და მეორადი ბაზარი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

პირველად ბაზარზე წარმოებს ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსება, რომლის ემიტენტებს წარმოადგენენ კორპორაციები და ხელისუფლების ორგანოები. საფონდო ფასეულობათა შექმნას ახდენენ ინდივიდუალური ინვესტორები და საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, რომელთაგან აღსანიშნავია კორპორაციათა და სახელმწიფო დაწესებულებათა საპენსიო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, კომერციული ბანკები და ა.შ. როგორც ვიცით, ფასიანი ქაღალდების განთავსება შეიძლება განხორციელდეს ემიტენტების ინვესტორებთან უშუალო ურთიერთობით ან შუამავლების მეშვეობით, რომლებიც თავითონ ახდენენ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციას . ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ჩავთვალოთ ფულად ბაზრად, რომელზედაც მიმოიქცევა მოკლე ვადიანი (ერთ წლამდე ვადით)სავალო ვალდებულებები, ძირითადად სახაზინო თამასუქების სახით. ფულადი ბაზარი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხაზინას ნაღდი ფულით, ხოლო კორპორაციებს და ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ შემოსავალი დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციით.

დღეს მსოფლიოში უდიდესი ფირმები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საშუამავლო საქმიანობით არიან დაკავებულნი. სწორედ ისინი და არა ცალკეული ბროკერები განსაზღვრავენ თანამედროვე საინვესტიციო ბიზნეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მთავარი ფიგურა უმსხვილესი ფირმაა რომელიც თავის საქმიანობაში ბროკერული და დილერული ოპერაციების ინტეგრირებას ახდენს.

მყიდველი (ინვესტორი),საჭიროებს რჩევა-დარიგებებს. იგი უძლურია თვითონ განსაზღვროს, რომელი ფასიანი ქაღალდი იყიდოს და რომელი არა. სანამ შუამავალი რჩევა-დარიგებებს მისცემს ინვესტორს, საჭიროა შესწავლილ იქნეს მისი ფსიქოლოგია და მიზანი, შემდეგ კოლოსალური რაოდენობის ფასიანი ქაღალდებიდან შეირჩეს ისეთი, რომელიც ინვესტორის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ინვესტიციებზე შემოსავალი, საბოლოო ანგარიშში, დამოკიდებული იქნება არა მარტო იმაზე, რომ შუამავალმა საქმის ცოდნით შეასრულა თავისი პროფესიული ვალდებულებები, ბაზარზე დიდია რისკი დაკარგო არა მარტო შემოსავალი, არამედ თვით ინვესტიციები.ბუნებაში არ არსებობს ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ რისკს და უზრუნველყოფდა ცხოვრების უფრო მაღალ დონეს .

ფინანსური ბაზრის განვითარების პროცესი ფინანსური რესურსების ერთი სახეობიდან და სეგმენტიდან მეორეში მუდმივი გადადინებით ხასიათდება. ასეთი გადადინების მაგალითია ბოლო წლებში საკმაოდ გავრცელებული სეკიურიტიზაციის პროცესი, რომელიც ოპერაციების საკრედიტო ბაზრიდან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გადაადგილებით ხასიათდება, რაც კრედიტების გამოყენებისას დანახარჯების შემცირების უზრუნველყოფას განაპირობებს.

1.2 ფინანსური ბაზრის მონაწილენი და მათი ფუნქციები

ფინანსურ ბაზარზე სხვადასხვა მონაწილე მოქმედებს, რომელთა ფუნქციები განისაზღვრება ცალკეული გარიგებების განხორციელებისას მათი საქმიანობისა და მონაწილეობის ხარისხით. ფინანსურ ბაზარზე გარიგებების გაფორმების პრინციპული ფორმების გათვალისწინებით მისი ძირითადი მონაწილეები იყოფა ორ ჯგუფად:

- 1) ფინანსური ინსტრუმენტების (მომსაურების) გამყიდველებად და მყიდველებად;
- 2) ფინანსურ შუამავლებად.

ფინანსურ ბაზარს ძირითადი მონაწილეების გარდა, ასევე მიეკუთვნებიან მრავალრიცხოვანი მონაწილეები, რომლებიც დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ.

ფინანსური ბაზრის მონაწილეების კონკრეტული სახეობები, მათი ჯგუფების ჭრილში განვიხილოთ:

I. ფინანსური ინსტრუმენტების (მომსახურების) მყიდველები და გამყიდველები შეადგენენ ფინანსური ბაზრის პირდაპირი მონაწილეების ჯგუფს, რომლებიც, ფინანსური ოპერაციების ჩატარების მიხედვით, ძირითად ფუნქციებს ახორციელებენ.

1. საკრედიტო ბაზარზე ფინანსური ოპერაციების პირდაპირი მონაწილეები არიან:

ა) **კრედიტორები** - ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც გასცემენ სესხს დროებით გამოყენების მიზნით და სათანადო პროცენტის გადახდით. მათი ძირითადი ფუნქციებია: ფულადი აქტივების (საკუთარი და ნასესხები) გაყიდვა მსესხებელზე კრედიტორები შეიძლება იყოს: სახელმწიფო, კომერციული ბანკები, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები.

ბ) **მსესხებლები** - ფინანსური სუბიექტები, რომლებიც სესხს იღებენ კრედიტორებისგან გარკვეული გადასახადის გადახდით. ფულადი აქტივების ძირითადი მსესხებლები შეიძლება იყოს: სახელმწიფო, კომერციული ბანკები, სანარმოები, მოსახლეობა და სხვა.

2. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფინანსური ოპერაციების პირდაპირი მონაწილეები:

ა) **ემიტენტები** - ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემისიის) ხარჯზე საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვას ახორციელებენ, ფინანსურ ბაზარზე ემიტენტები უშუალოდ ფასიანი ქაღალდების გამყიდველის როლში გამოდიან. ფასიანი ქაღალდების ემიტენტებად შეიძლება იყოს სახელმწიფო და სააქციო საზოგადოებები იურიდიული პირის სახით.

ბ) **ინვესტორები** - ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც საკუთარ ფულად სახსრებს მოგების მიღების მიზნით სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში აბანდებენ, ინვესტორები კლასიფიცირდებიან რიგის ნიშნების მიხედვით: ინდივიდუალური, ინსტიტუციური, სტრატეგიული, პორტფელური, სამამულო, უცხოელები.

3. სავალუტო ბაზარზე ფინანსური ოპერაციების ძირითადი მონაწილეები:

ა) **ვალუტის გამყიდველები** - სახელმწიფო, კომერციული ბანკები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლები სანარმოები, ფიზიკური პირები.

ბ) **ვალუტის მყიდველები** - გამყიდველები, იგივე სუბიექტები.

4. სადაზღვეო ბაზარზე ფინანსური ოპერაციების ძირითადი მონაწილეები:

ა) **დამზღვევები** - ფინანსური ბაზრის სუბიექტები, სხვადასხვა სახეობის სადაზღვევო მომსახურების რეალიზატორები. ძირითად დამზღვევებს წარმოადგენენ: ღია ტიპის სადაზღვევო ფორმები და კომპანიები, კეპრიური (შვილობილი კომპანია) სადაზღვევო ფორმები და კომპანიები, რისკის გადამზღვევი კომპანიები.

ბ) **დაზღვეულები** - ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებიდან და ფორმებიდან სადაზღვევო მომსახურებას იძენენ, ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები.

5. ოქროს ბაზარზე ფინანსური ოპერაციების პირდაპირი მონაწილეები:

ა) **ოქროს გამყიდველები** - რომლებიც შეიძლება იყვნენ: სახელმწიფო, კომერციული ბანკები, იურიდიული და ფიზიკური პირები;

ბ) **ოქროს მყიდველები** - რომლებიც შეიძლება იყვნენ შესაბამისი გამყიდველები, იგივე სუბიექტები.

II. ფინანსური შუამავლები ფინანსური ბაზრის ძირითადი მონაწილეების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის საშუამავლო კავშირს უზრუნველყოფენ.

1. **საბროკერო საქმიანობის უშუალოდ განმახორციელებელი ფინანსური შუამავლები** - წარმოადგენენ ფინანსური ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს, რომელთა საქმიანობა სავალდებულო ლიცენზირებას ექვემდებარება. ისინი ფინანსურ ბაზარზე გარიგებების განხორციელებაში დახმარებას უწევენ ფინანსური ინსტრუმენტების როგორც მყიდველებს ასევე გამყიდველებსაც. ფინანსური შუამავალი რომელიც საბროკერო საქმიანობას ახორციელებს, მონაწილეობს გარიგების გაფორმებაში როგორც რწმუნებულის, ასევე კომისიონერის როლში. გარიგებების განხორციელებისას ფინანსური შუამავალი (ბროკერი) უშუალოდ კლიენტის სახელით და დავალებით, მის ხარჯზე, ეწევა აღნიშნულ საქმიანობას.

ფინანსური ბროკერების საერთო ინსტიტუტის შემადგენლობაში გამოყოფენ:

- ინვესტიციურ ბროკერებს;

- სავალუტო ბროკერებს;
- სადაზღვევო ბროკერებს ა.შ.

2. სადილერო საქმიანობის განმახორციელებელი ფინანსური შუამავლები - ასევე ფინანსური ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს წარმოადგენენ, ასეთი შუამავლების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა თავისი სახელით და საკუთარი ხარჯით, ამასთან ფასებში სხვაობის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით. ასეთ საქმიანობის განხორციელების უფლება მხოლოდ ლიცენზირებულ იურიდიულ პირს აქვს. მათ მიეკუთვნება: კომერციული ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, საინვესტაციო ფონდები, საინვესტიციო დილერები და ანდეერაიტორები, სატრანსორტო კომპანიები ან საინვესტიციო მმართველები, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები ან ფინანსური ჰოლდინგური კომპანიები, ფინანსური სახლი ან ფინანსური სუპერმარკეტი, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, სხვა საკრედიტო-საფინანსო და საინვესტიციო ინსტიტუტები.

III. ფინანსურ ბაზარზე დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი მონაწილეები მისი ინფრასტრუქტურის მრავალრიცხოვანი სუბიექტებით არის წარმოდგენილი. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს დაწესებულებებისა და სანარმოების კომპლექსს, რომლებიც მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უშუალოდ მისი მონაწილეების მომსახურებას ახორციელებენ. ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის აღნიშნული სუბიექტების შემადგენლობაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი დაწესებულებები: საფონდო ბირჟა, სავალუტო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტორი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, საანგარიშო-საკლირინგო ცენტრები, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის სხვა დაწესებულებები.

ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი ინსტრუმენტები, რომლებიც მისი სხვადასხვა სახეობის ოპერაციებსა და სეგმენტებს ემსახურება თანამედროვე ეტაპზე დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.[1, გვ,2011-213]

თავი II. ფინანსური ბაზრის ძირითადი ინსტრუმენტები და მათი ფუნქციონირების მექანიზმები

2.1 ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მიმოხილვა

ფინანსურ ბაზარზე ოპერაციების ჩატარებისათვის სანარმოები შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებს ირჩევენ. ფინანსური ინსტრუმენტები სხვადასხვა სახეობის მიმოქცევადი ფულადი ღირებულების მქონდე ფინანსური საბუთებია, რომელთა მეშვეობით ფინანსურ ბაზარზე ოპერაციები ხორციელდება.

ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი ინსტრუმენტები, რომლებიც მისი სხვადასხვა სახეობის ოპერაციებსა და სეგმენტებს ემსახურება თანამედროვე ეტაპზე დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

განვიხილოთ ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების შინაარსი და თავისებურება, რომლებიც სხვადასხვა სახის ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციების მომსახურებისათვის გამოიყენება. ფინანსური ბაზრის ფუნქციონირება განსაზღვრული ეკონომიკური მექანიზმის ქმედებას ექვემდებარება, რომლის საფუძველს მისი ელემენტების ურთიერთკავშირი შეადგენს. აღნიშნული ელემენტებიდან ძირითადებს, რომლებიც როგორც ფინანსურ ბაზარს მთლიანად, ასევე ცალკეული სახეობების მდგომარეობასა და განვითარებას განსაზღვრავს, არის მოთხოვნა, მიწოდება და ფასი.

ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი მიმართულია მისი წონასწორობის უზრუნველყოფაზე, რომელიც ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედების გზით არის შესაძლებელი. ძირითადად აღნიშნული წონასწორობა, საბაზრო ტიპის ეკონომიკის პირობებში, ფინანსური ბაზრის თვითრეგულაციის ხარჯზე და კერძოდ,

სახელმწიფოებრივი რეგულირების ხარჯზე მიიღწევა. მაგრამ რეალურ პრაქტიკაში ფინანსური ბაზრის აბსოლუტური წონასწორობა ანუ მისი ელემენტების სრული დაბალანსება, იშვიათად, მაგრამ თუ მაინც განხორციელდა, მხოლოდ მეტად ხანმოკლე პერიოდისთვის შეიძლება იქნეს მიღწეული.

ფინანსური ბაზრის თითოეულ სახეობისათვის ბაზრის ცალკეულ ელემენტებს შორის უზრუნველყოფის საკუთარი თავისებურებებია დამახასიათებელი, მაგრამ აღნიშნული ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმის პრინციპულ საფუძველს საერთო ხასიათი გააჩნია. ამიტომ პირველ რიგში ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის ფორმირების საერთო პრინციპები უნდა განვიხილოთ. აღნიშნული პრინციპული დებულებები შემდეგ ძირითად მომენტებამდე დაიყვანება:

1. ფინანსური ბაზრის ძირითადი ელემენტების სისტემაში ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ძირითად როლს (ფინანსურ მომსახურებებზე) ფასი ასრულებს. სწორედ ფასი გამოხატავს ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას, წონასწორობის მდგომარეობას, ყველა მონაწილეების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ხარისხს. ფინანსური ბაზრის ელემენტების სისტემაში ფასის პრიორიტეტული როლი, რომელიც მისი წონასწორობის უზრუნველყოფელია, ფუნქციონირების მექანიზმში ფასწარმოქმნის განსაკუთრებულ როლს განსაზღვრავს.

2. უპირველეს ყოვლისა, ფასები ფინანსურ ბაზარზე ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლიანობის დონით განისაზღვრება, რომლის საფუძველში საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონეა (ან დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის საშუალო ნორმა) ჩადებული. საპროცენტო განაკვეთის დონე ემსახურება არა მარტო ფინანსური ოპერაციების განხორციელების ალტერნატიული მიმართულებების შერჩევის კრიტერიუმს, არამედ მნიშვნელოვანი ხარისხით განსაზღვრავს ფინანსურ ბაზარზე აღნიშნული ოპერაციების მოცულობას ან ცალკეული მეურნე სუბიექტების საქმიან აქტიურობასაც.

3. ფინანსურ ბაზარზე ფასების ფორმირების განსაკუთრებულობას აღნიშნულ პროცესზე მასში მიმოქცევადი სპეკულაციური კაპიტალის არსებითი ზემოქმედება წარმოადგენს. აღნიშნული მეურნე სუბიექტები ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე

წარმოშობს არა მარტო რეალურ მოთხოვნას, არამედ სპეკულაციურ მოთხოვნასაც, რომელიც ეკონომიკის განვითარების რეალურ მოთხოვნილებებთან არ არის კავშირში. ფინანსური ბაზრისათვის სპეკულაციური შემადგენელის მაღალი დონე ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს; აღნიშნული დონე მუდმივად იზრდება სანარმოებისა და ფიზიკური პირების მიერ დაგროვებული კაპიტალის მოცულობის გადიდებით. სპეკულაციური კაპიტალის ზემოქმედებით ფინანსურ ბაზარზე ფასების დონე მნიშვნელოვანი ზომიერებითაა დამოკიდებული არა მარტო რეალურ მოთხოვნაზე, არამედ აღნიშნული დონის მოსალოდნელ ცვლილებაზე, რომლებზეც ბაზრის მონაწილეები ცდილობენ ზემოქმედება განახორციელონ მათი საკუთარი სპეკულაციური ინტერესებიდან (ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ფასების დონის „გადიდებასა და შემცირებაზე ზემოქმედებით“) გამომდინარე.

4. ფასები ფინანსურ ბაზარზე მეტად დინამიკურია, მრავალი ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებას ექვემდებარება, რომლებიც ვლინდება როგორც მაკრო, ასევე მიკროდონეზე, ამიტომ მათი დონე პრაქტიკულად ყოველდღიურად იცვლება. ფასების დინამიკის ასეთი მაღალი დონე ფინანსური ბაზრის თავისებურებების მახასიათებელია სასაქონლო ბაზართან შედარებით, სადაც ფასწარმოქმნის ფაქტორებს უფრო სტაბილური ხასიათი გააჩნია.

5. ფასების დონის შესახებ ინფორმაციის მაღალი როლი ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე როგორც სანარმოს ფინანსური საქმიანობის მართვაზე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე განაპირობებს არა მარტო ოპერატიულობას, არამედ მათი დადგენის მართებულობასაც. ძირითად ფინანსურ ბაზრებზე ფასების დონის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შემოდის არა მარტო რეგიონული და ეროვნული ბაზრებიდან, არამედ მსოფლიო ბაზრებიდანაც და სხვადასხვა დონის ფინანსურ-ეკონომიკური პროცესის მართვაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს.

6. ძირითადად ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფასების დონის საჭარო დადგენა ხორციელდება საბირჟო კოტირების პროცესში მათზე მოთხოვნის მოცულობასა და მიწოდების ჩამოყალიბებული თანაფარდობიდან. საბირჟო კოტირება ხორციელდება

ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე ან გაყიდვაზე. კლიენტების, ბროკერების განაცხადების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე, კლიენტების განაცხადების მეშვეობით, ბირჟაზე განსაზღვრული ფასების დონეების მიხედვით, მოთხოვნის მოცულობის ფორმირება ხორციელდება.

ბირჟაზე კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვასა და გაყიდვაზე კლიენტების განაცხადების საფუძველზე, ფასების დონის ფორმირება ხდება გაცხადებული მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის უზრუნველყოფით. პრაქტიკულად საბირჟო ვაჭრობის განწესდებული ფასი მოთხოვნისა და მიწოდების გადაუდებელი ზემოქმედებით (შესაბამისად ვაჭრობის განხორციელების პროცესში მყიდველებისა და გამყიდველების მხრიდან ფასებში შეღავათების განწვევა) შეიძლება რამდენადმე გადაადგილებულ იქნეს საანგარიშო დონესთან შედარებით, რაც გრაფიკზე ილუსტრირებული.

7. ფინანსურ ბაზარზე ფასების ფორმირების ერთ-ერთი თავისებურება ეროვნულ ბაზარზე ჩამოყალიბებული აღნიშნული ფასების მაღალი დამოკიდებულებაა მსოფლიო ბაზარზე არსებულ შესაბამის დონესთან მიმართებაში. აღნიშნული დამოკიდებულება არა მარტო სავალუტო ბაზრისათვის არის დამახასიათებელი (სადაც უმაღლესი ხარისხით ვლინდება), არამედ ფინანსური ბაზრის სხვა სახეობისათვისაც. მსოფლიო ფინანსურ ბაზარში ინტეგრირების შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგების ფორმირებით, აღნიშნული დამოკიდებულება კიდევ უფრო ძლიერდება.

8. ფინანსურ ბაზარზე ქვეყანაში ეკონომიკურ პროცესებზე ფასების დინამიკის ზემოქმედების მაღალი ხარისხი განსაზღვრავს შესაბამისი მექანიზმების მეშვეობით აღნიშნული ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების განხორციელების აქტიურ ფორმებს. ასეთი მექანიზმების სააღრიცხვო განაკვეთის დადგენა, კომერციული ბანკების რეზერვების ნორმირება, ფულის ემისიის მეშვეობით ფულის მიმოქცევის რეგულირება, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის მოცულობისა და შემოსავლიანობის რეგულირება (პირველ რიგში, ობლიგაციების) და სხვა.

რეგულირების ასეთი მექანიზმი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში ხდება.

9. ფინანსურ ბაზარზე ფასების ფორმირების ობიექტურობა ფასწარმოქმნის პროცესში მათ დონეზე მოქმედი ყველა აუცილებელი ფაქტორის არა მარტო გათვალისწინების აუცილებლობას განაპირობებს, არამედ მათ შესახებ აღნიშნული ბაზრის მონაწილეების ინფორმირებულობასაც მოითხოვს. ფინანსური ბაზრის მონაწილეების ასეთი ინფორმაციული უზრუნველყოფა (პირველ რიგში, კაპიტალის ბაზრის) „ბაზრის ეფექტიანობის“ ცნებით ხასიათდება. ფინანსური ბაზარი ეფექტურად ითვლება, თუ ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფასების დონე აღნიშნული ბაზრის ყველა მონაწილის მხრიდან გარე ინფორმაციაზე სრულ ინფორმირებულობისას სწრაფად რეაგირებს.[2]

ეფექტური ბაზრის კონცეფციის შესაბამისად (რომელიც მნიშვნელოვან თეორიულ დებულებას წარმოადგენს და მისი ფუნქციონირების მექანიზმის განმსაზღვრელია) ეფექტურობის შემდეგ სამ დონეს გამოყოფენ:

პირველი დონე, რომელიც ბაზრის ეფექტურობის სუსტი ხარისხის მახასიათებელია, გამოხატავს სიტუაციას, როდესაც ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფასწარმოქმნა წინა პერიოდის დინამიკაზე დაფუძნებული.

მეორე დონე, რომელიც ბაზრის ეფექტურობის საშუალო ხარისხის მახასიათებელია, გამოხატავს სიტუაციას, როდესაც ფასწარმოქმნა ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებზე წინა პერიოდის დინამიკის შესახებ ინფორმაციის გარდა სხვა გამოქვეყნებულ, მოპოვებულ ინფორმაციასაც ასახავს.

მესამე დონე, ბაზრის ეფექტურობის ძლიერი ხარისხის მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს სიტუაციას, როდესაც ფასწარმოქმნის პროცესი დაფუძნებულია არა მარტო მიღწეულ, არამედ გამოუქვეყნებელ ინფორმაციაზე, აგრეთვე, მისი ფუნდამენტური ანალიზის შედეგებზეც (ასახავს მათ შემოსავლიანობის დონეს, მათი რისკის შესაბამის დონეს ანუ ყველა არსებულ ინფორმაციას).

განხილული პრინციპული დებულებები ფინანსურ ბაზარს მთლიანობაში და მისი ცალკეული სახეობების ფუნქციონირების მექანიზმს ახასიათებს. ამასთან, ფინანსური რისკების ცალკეული სახეობების ფუნქციონირების მექანიზმს სპეციფიკური თავისებურებები გააჩნია, რომლებიც განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტების ფასების (საბაზრო ღირებულების), აღნიშნული ინსტრუმენტების ფასების (საბაზრო ღირებულების), კონკრეტული დონის ფორმირებაზე მომქმედი ფაქტორების სისტემისა; ბაზრის მონაწილეების ფასების კოტირების (ფორმირების) მეთოდების და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ბაზრის თითოეული სახეობის ფუნქციონირების ძირითადი თავისებურებების განხილვა საინტერესოდ მივიჩნიეთ და უფრო დეტალურად განვიხილავთ.

2.2 საკრედიტო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები

საკრედიტო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

ა) **ფულადი აქტივები** - რომლებიც კრედიტორსა და მსესხებელს შორის საკრედიტო ურთიერთობების ძირითად ობიექტებს შეადგენს.

ბ) **ჩეკები** - რომლებიც დადგენილი ფორმის ფულად საბუთს წარმოადგენს და ბანკში მიმდინარე ანგარიშის მფლობელის ნიშან-თვისებას მოიცავს მასში ჩანერილი ფულადი თანხის მისი წარმოდგენისთანავე გადახდის შესახებ განასხვავებენ სახელობით ჩეკს, ჩეკი წარმომდგენზე და საორდერო ჩეკი.

გ) **აკრედიტივები** - კომერციული ბანკის ფულადი ვალდებულებებია, რომლებიც მათ კლიენტი-მყიდველის დავალებით გადაეცემა მყიდველის ან სხვა კომერციული ბანკის სასარგებლოდ მითითებული საბუთების საფუძველზე, მასში ჩანერილი თანხის ჩარჩოებში ანგარისწორების განხორციელების მიზნით. განასხვავებენ გამოთხოვად და გამოთხოვის გარეშე, ასევე უბრალო და გადასაყვან აკრედიტივებს.

დ) **თამასუქები** - მევალის უპირობო ფულადი ვალდებულებაა თამასუქის მფლობელს გადაუხადოს მასში მითითებული ვადის დადგომის შემდეგ განსაზღვრული თანხა.

თანამედროვე პრაქტიკაში შემდეგი სახის თამასუქები გამოიყენება:

კომერციული - რომლის მეშვეობით ხორციელდება სასაქონლო კრედიტის მიხედვით პროდუქციის მყიდველის საანგარიშსწორებო ფულადი ვალდებულების გაფორმება; **საბანკო ანუ ფინანსური** - რომლის მეშვეობით ხორციელდება მიღებული ფინანსური კრედიტის მიხედვით კომერციული ბანკის ან სხვა საკრედიტო ინსტიტუტის ფულადი ვალდებულებების გაფორმება; **საგადასახადო** - რომლის მეშვეობით ხორციელდება გადამხდელის ფულადი ვალდებულებების განსაზღვრული სახეობის გადასახადის განვადებით, გარკვეულ ვადაში, გადახდის გაფორმება.

საკრედიტო ბარათებზე ფინანსური ოპერაციის ჩატარებისას შეიძლება

გამოყენებულ იქნეს:

პროცენტული თამასუქი, დისკონტური თამასუქი, ემიტირებული თამასუქები იყოფა შემდეგ სახეობებად: უბრალო თამასუქები, გადასაყვანი თამასუქი.

- ე) **საგირავნო საბუთები** - იგი გაფორმებულ სავალო ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც მიღებული ფინანსური ან კომერციული კრედიტის უზრუნველყოფას ახორციელებს გირაოს ან საგირაო სიგელის ფორმით;
- ვ) **საკრედიტო ბაზრის სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტუმენტები** - მათ მიეკუთვნება დევიზები, კინოსაგანტები და ა.შ.

საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები - უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ბაზრის სპეციფილურ საწყის ელემენტებს ეფუძნება, როგორებიცაა მოთხოვნა საკრედიტო რესურსებზე და მათი მიწოდება. მაგრამ აღნიშნული ბაზრის მთავარი თავისებურება ისაა, რომ მასზე ფასის სახით გამოდის კრედიტზე პროცენტის განაკვეთი. რეალური საქონლის ფასებისაგან განსხვავებით კრედიტზე პროცენტის განაკვეთის ფორმირდება სამომხმარებლო ღირებულებიდან და არა უბრალოდ ღირებულებიდან.

საკრედიტო ბაზარზე ფულადი აქტივების მიმოქცევის ფორმებზე დამოკიდებულებით კრედიტზე პროცენტის განაკვეთმა შეიძლება სხვადასხვა დანიშნულება შეიძინოს, როგორებიცაა საკრედიტო პროცენტი, დეპოზიტური პროცენტი, ბანკთაშორისი პროცენტი, სააღრიცხვო პროცენტი და ა.შ. მაგრამ

საბოლოო ჯამში კრედიტზე პროცენტების სახეობების ძირითადი არსი არ იცვლება და საკრედიტო რესურსების (გასაყიდად შემოთავაზებული ფულადი აქტივების) ფასს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რესურსებზე ფასების აღნიშნული სახეობების შემადგენლობაში პრიორიტეტულ როლს ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთი ასრულებს, რომლის დინამიკა განსაზღვრავს გასაყიდად წარმოდგენილ ფულად აქტივებზე ფასების სხვა მახას+იათებლების მოძრაობას.

2.3 ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

ა) **აქციები** - ფასიანი ქაღალდებია, რომელიც სააქციო საზოგადოების საწესდებო ფონდის ფორმირებაში მისი მფლობელის მონაწილეობის დამადასტურებელი და მოგების შესაბამისი წილის დივიდენდის ფორმით მიღებაზე უფლებამოსილების საბუთია.

ბ) **ობლიგაციები** - ასევე ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც მისი მფლობელის მიერ ფულადი სახსრების შეტანას ადასტურებს და ემიტენტის მოწმობა, აღნიშნულია ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებისა, მითითებულ ვადაში და ფიქსირებული პროცენტის ანაზღაურების შესახებ.

გ) **საშემნახველო (დეპოზიტური) სერტიფიკატები** - ბანკის მიერ ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ წერილობით მოწმობას წარმოადგენს, რომელიც დადგენილი ვადის შემდეგ დეპოზიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის მიღებაზე მენაბრის უფლების დამადასტურებელი საბუთიცაა.

დ) **დერივატები** - აღნიშნული შედარებით ახალი ფასიანი ქაღალდების ჯგუფს მიეკუთვნება საფონდო ბაზრისთვის. მათ მიეკუთვნება: ოპციონალური კონტრაქტები; ფიუჩერული კონტრაქტები; ფორვარდული კონტრაქტები; კონტრაქტები "სვოპი" და სხვები;

ე) საფონდო ბაზრის დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები - მათ მიეკუთვნება საინვესტიციო სერთიფიკატები, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები, სახაზინო ვალდებულებები და სხვები.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მასზე მოთხოვნის ფორმირებას ახორციელებენ ინვესტორები, ხოლო მიწოდებას - სხვადასხვა ფონდური ინსტრუმენტების ემიტენტები. შესაბამისად, აღნიშნულ ბაზარზე გამოდის ფასიანი ქაღალდების ცალკეულ სახეობებზე კვოტირებული საბაზრო ფასები.

ინვესტორების მოთხოვნის საფუძველში, ძვეს ფასიანი ქაღალდების შეძენაში ჩადებული კაპიტალის შემოსავლის (პროცენტებისა და დივიდენდების, ასევე მათი ღირებულების საკურსო ნაზარდის ფორმით) მიღების აუცილებლობა. აღნიშნული შემოსავლის დონე რისკის გარეშე ინვესტირებისას არ შეიძლება კაპიტალზე მოგების ნორმის დონეზე უფრო დაბალი იყოს.

ემიტენტების მიწოდების საფუძველში, როგორც წესი, ძვეს რეალური განვითარების უზრუნველყოფაში წარმოების (საოპერაციო საქმიანობის) საჭირო ფინანსური (საინვესტიციო) რესურსების მოთხოვნილებები, რომელთა მოცულობა არ შეიძლება შიგა წყაროების ხარჯზე იქნეს ფორმირებული. ამასთან, მეურნე სუბიექტებისათვის (ან სახელმწიფოსათვის) ფასიანი ქაღალდების ემისია, გარე წყაროების ხარჯზე, ფინანსური რესურსების მოზიდვის ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმაა. თუ საკრედიტო რესურსების მოზიდვის ღირებულება უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახსრების მოზიდვა, მათი ემისია (სხვა დანარჩენი ტოლი პირობებისას) შეიძლება არ განხორციელდეს.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ფასები ინვესტორებისა და ემიტენტების სხვადასხვა ეკონომილური ინტერესებით განისაზღვრება და, შესაბამისად, აღნიშნული ინტერესების ფორმირების პირობების გამოვალისწინებელი რეალური სხვადასხვა სპეციფიკური ფაქტორებით ხორციელდება. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გარიგებების რეალური და,

შესაბამისად, რეალური ფასწარმოქმნის პროცესებიც მიმდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტორებისა და ემიტენტების ეკონომიკური ინტერესები თანხვდება (ერთმანეთს ემთხვევა). ამასთან, აღნიშნულ ბაზარზე ფასწარმოქმნის პროცესზე განსაზღვრულ ზემოქმედებას სპეკულაციური კაპიტალიც ახდენს.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მოთხოვნის მოცულობის ფორმირებას ახდენს და, შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნის ფასებზე ზემოქმედებს, ძირითადებს წარმოადგენს:

ინვესტორების მიმდინარე შემოსავლის მოხმარებასა და დაგროვებაზე განაწილების პროპორცია (ფასიან ქაღალდებთან გარიგებების განხორციელების ფინანსური პოტენციალის განმსაზღვრელი);

ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობისა და რისკის დონეთა შესაბამისობა (პირველი მეტობა მეორესთან საინვეტიციო მოთხოვნის მოცულობის ზრდას გამოიწვევს);

ცალკეული ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის დონე. განისაზღვრება მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით საფონდო ბაზრის საერთო აქტიურობით, აგრეთვე კონკრეტული საფონდო ინსტრუმენტების საინვესტიციო ხარისხით;

ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის დონის დინამიკა. არსებით ზემოქმედებას ახდენს შემოსავლიანობის დონეზე, და, შესაბამისად, სავალო ფასიანი ქაღალდების მიხედვით, მოთხოვნის მოცულობაზე;

ინფლაციის პროგნოზირებადი ტემპი. მოსალოდნელი ინვესტიციური შემოსავლის დონის „ინფლაციურ განმენდას“ ემსახურება (მასში რისკზე პრემიის ჩართვის გზით).

იმ ფაქტორებს შორის, რომელთა მიხედვით მიწოდების მოცულობა ფორმირდება და რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიწოდების ფასებზე ზემოქმედებს, ძირითადებს წარმოადგენს:

ქვეყნის ეკონომიკისა და საინვესტიციო კაპიტალის მდგომარეობა, რომლებიც განსაზღვრავენ მეურნე სუბიექტების ინვესტიციური მოთხოვნების მოცულობას და ფინანსური რესურსებით მათ დაკმაყოფილებას ფასიანი ქაღალდების ემისიის ხარჯზე.

სხვა ალტერნატიული გარე წყაროებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვის ღირებულება.

საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა საკრედიტო ბაზარზე მოთხოვნაში და კონკრეტული მეურნე სუბიექტისათვის კერძოდ.

ფასიანი ქაღალდების კონკრეტული სახეობების ემისიაზე ხარჯების დონე.

იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა მიხედვით ფასიანი ქაღალდების რეალური მოთხოვნისა და მიწოდების, აგრეთვე სპეციფიკური ფასწარმოქმნის ფაქტორების ფორმირება ხორციელდება საბირჟო და გარესაბირჟო ბაზრებზე, ცალკეულ ფონდურ ინსტრუმენტებზე, კონკრეტული ფასების ჩამოყალიბებაზე.[1, გვ.233-234]

2.4 სავალუტო და სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები

სავალუტო ბაზრის ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებიდან შეიძლება გამოვყოთ :

ა) **სავალუტო აქტივები** - სავალუტო ბაზარზე ფინანსური ოპერაციების ძირითადი ობიექტია;

ბ) **დოკუმენტური სავალუტო აკრედიტივი** - გამოიყენება საგარეო ეკონომიკური სანარმოების მიხედვით ანგარიშსწორებებში

გ) **სავალუტო საბანკო ჩეკი** - უცხოეთში სავალუტო ავუარების ბანკიმფლობელის წერილობითი ბრძანება ბანკი-კორესპონდენტისათვის შეთანხმებული თანხის მიმდინარე ანგარიშიდან ჩეკის მფლობელისათვის გადარიცხვის შესახებ;

დ) **სავალუტო საბანკო თამასუქი** - საანგარიშსწორებო საბუთი, რომელიც ბანკის მიერ უცხოელ კორესპონდენტზეა წარმოდგენილი;

ე) გადასახვევიანი სავალუტო კომერციული თამასუქი - საანგარიშსწორებო საბუთი, რომელიც იმპორტიორის მიერ კრედიტორზე ან პროდუქციის პირდაპირ ექსპორტიორზეა გამოწერილი;

ვ) სავალუტო ფიუჩერსული კონტრაქტი - სავალუტო ბირჟაზე გარიგების განხორციელების ფინანსურ ინსტრუმენტი;

ზ) სავალუტო ოპციონური კონტრაქტი - სავალუტო ბაზარზე დასადები კონტრაქტი ადრე გათვალისწინებული ფასებით, სავალუტო აქტივების შეძენაზე ან გაყიდვაზე უარის თქმის უფლებით;

თ) სავალუტო სკოპში - გარიგების განხორციელების პროცესში სხვადასხვა ქვეყნების ვალუტების პრიორიტეტული გაცვლის უზრუნველყოფელი;

ი) სავალუტო ბაზრის სხვა ფინანსური ინსტრუმენტები

სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები - იმაში მდგომარეობს, რომ მასზე გაყიდვის ძირითადი ობიექტის ფასს **სავალუტო კურსი** (ეროვნული უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პირობებისას) ან **კროს-კურსი** (ერთი უცხოური ვალუტის მეორე - სხვა უცხოურ ვალუტაზე ყიდვა - გაყიდვის პირობებისას) განაპირობებს.

სავალუტო კურსი ნებისმიერი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასია, რომელიც მოცემული სახელმწიფოს გარკვეული პერიოდისათვის ფულად ერთეულშია გამოხატული. იგი მიუთითებს, თუ ეროვნული ვალუტის რა რაოდენობაა (ერთეული) საჭირო ერთი ერთეული უცხოური ვალუტის შესაძენად. სავალუტო კურსი წარმოდგენილია, როგორც წესი, ორი მაჩვენებლით - შეძენის ფასით და გაყიდვის ფასით. აღნიშნულორ კურსს შორის სხვაობით ვალუტის გადაცვლის განმახორციელებელი სავალუტო დილერებისა და ოპერატორების მარჯის (პრემიის) ფორმირება ხორციელდება.

კროს-კურსი - ორ ვალუტას შორის თანაფარდობის მახასიატებელია, რომელიც ამ კურსიდან გამომდინარეობს მესამე ვალუტასთან მიმართებაში.

თუ ეროვნულ ვალუტაში გამოსახული სავალუტო კურსის დონე გარკვეული ზომიერებით ეროვნულ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობაზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის კროს-კურსზე აღნიშნული მაჩვენებლები ზემოქმედებას არ ახდენს.

უცხოური ვალუტების სავალუტო კურსის დონეზე, რომელიც ეროვნულ ვალუტაშია გამოსახული, ზემოქმედებას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

ეროვნული და უცხოური ვალუტების ერთეულების მყიდველობითი შესაძლებლობების თანაფარდობა (ხასიათდება „ვალუტების მყიდველობითი შესაძლებლობის პარიტეტით“);

მსგავსი ქვეყნების საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა (ხასიათდება მათ შორის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის თანაფარდობით);

სახელმწიფოებრივი „სავალუტო ინტერვეციების“ ფორმები და მოცულობები (ასახავს სავალუტო კურსის სახელმწიფოებრივი რეგულირების ხერხით);

ქვეყნიდან „კაპიტალის გადინებით“;

ინფლაციის მაღალი ტემპით;

ეროვნული ფულადი ერთეულის მოსალოდნელი დევალვაციით.

სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებში შედის:

ა) სადაზღვევო მომსახურების კონკრეტულ სახეობაზე კონტრაქტები- რომლებიც სადაზღვევო ბაზარზე კლიენტებთან ფინანსური ოპერაციების ძირითად ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნული კონტრაქტები ფორმდება სპეციალური მონუმბის "სადაზღვევო პოლისის" სახით, რომელსაც სადაზღვევო კომპანია დაზღვეულს გადასცემს.

ბ) გადაზღვევის ხელშეკრულებები - არის დამზღვევ კომპანიებს შორის ფინანსური ურთიერთობის ფორმირებისას გამოყენებული საბუთი;

გ) ავარიული ხელმოწერა - არის ტვირთმომღების მიერ ტვირთის გადაზიდვისად საერთო ავარიიდან მიღებული ზარალის საკუთარი წილის გადახდის ფინანსური ვალდებულება.

სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები - მდგომარეობს იმაში, რომ სადაზღვევო მომსახურების ცალკეულ სახეობებზე მოთხოვნის ფორმირებას დაზღვეულები ახორციელებენ, ხოლო მიწოდებას კი - დამზღვევები. ამასთან სადაზღვევო მომსახურებების ფასს სადაზღვევო პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით გამოდის „სადაზღვევო პრემია“ განსაზღვრავს (სადაზღვევო შენატანი), რომელსაც დაზღვეული დამზღვევს უხდის თავის თავზე აღებული რისკის საფასურად.

სადაზღვევო პროდუქტების ცალკეული სახეობების მიხედვით, სადაზღვევო პრემიის (სადაზღვევო შენატანის) სიდიდებზე შემოქმედებს განმახორციელებელი ძირითადი ფაქტორები:

- სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებული სახეობა;
- დამზღვევის ხარჯების დონე სადაზღვევო საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით;
- დამზღვევის მოგების ნორმა (ან მიზნობრივი დონე);
- რისკის გადაზღვევის შესაძლებლობა;
- კონკრეტულ სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნის მოცულობა.

2.5 ოქროს ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები და ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები

ოქრის ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებში შედის:

- ა) ოქრო, როგროც ფინანსური ავუარი - ბაზარზე ფინანსური ოპერაციის ძირითადი ობიექტი;
- ბ) მრავალფეროვანი დერივატივების სისტემა - გამოიყენება ძვირფასი ლითონების ბირჟაზე გარიგების განხორციელებისას.

ფინანსური ბაზრის ზემოთ განხილული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები იმყოფება მუდმივ დინამიკაში, რაც გამოწვეულია ცაკლეული ბაზრების სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების ცვლილებით, განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით, ფინანსური ინოვაციებითა და სხვა ფაქტორებით.

ოქროს (და სხვა ძვირფასი ლითონების) ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები - იმაში მდგომარეობს, რომ მასზე ფასწარმოქმნის ხასიათი მეტი ხარისხით ასახავს სასაქონლო ბაზარზე ფასების კოტირებისა და ფორმირების მექანიზმის სპეციფიკას.

ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებზე საბირჟო ფასების კოტირების მექანიზმი ადრე განხილულ, სტანდარტულ ხასიათს ატარებს.

ფინანსური ბაზრის ცალკეული სახეობების ფუნქციონირების მექანიზმის ცოდნა, საწარმოს შესაძლებლობას აძლევს გარე წყაროებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებით ფინანსური ინვესტიციების პორტფელის ფორმირების, ფინანსური რისკების დაზღვევის და ფინანსური საქმიანობის სხვა ასპექტების მიხედვით ოპერაციების უფრო ეფექტიანად განახორციელოს.[1,გვ.236]

თავი III - საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა და შედეგები

3.1 საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება და პერსპექტივები

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი საზოგადოებრივი კვლავნარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

საქართველოში საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX სს, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა სახელმწიფოებში საქართველოშიც არსებობდა განშტოებული, მრავალსუბიექტიანი საკრედიტო-საბანკო სისტემა, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების საკრედიტო და სხვა სახის საბანკო მომსახურების ფართო სპექტრით უზრუნველყოფას ანხორციელებდა, მაგრამ ეს სისტემა ორ იარუსიანი მაინც ვერ გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო_ საბანკო დაწესებულებების მართვის სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში აღმოცენდნენ (სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების საბჭო და სხვ.), ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, რადგანაც ამ სისტემის მართვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო კონტროლს, სხვადასხვა სამინისტროებს (ცალკეულ შემთხვევებში სამხედრო სამინისტროსაც). ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბანკს ისეთი ფუნქციების შესრულებაც უწევდა, რომლებიც სავსებით არ იყო ცენტრალური ბანკისათვის დამახასიათებელი: იგი კომერციული ბანკების მსგავსად უშუალოდ ახორციელებდა სამეურნეო დაკრედიტებას. [5]

1917_1921 წ.წ. საქართველოში ჩაისახა დამოუკიდებელი საკრედიტო სისტემის კონტურები, რომელიც ვითარდებოდა საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის და მრავალრიცხოვანი საომარი და შიდაპოლიტიკური სიძნელეების გამო ვერ მოხერხდა თვითმყოფადი საკრედიტო სისტემის შექმნა.

ქვეყნის საბანკო ორგანიზაციების ერთობლიობაში, სხვადასხვა პერიოდებში არსებული ფორმები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მრავალი საკრედიტო ორგანიზაცია არსებობს: 2. “საბანკის” სახით ერთადერთი საბანკო ორგანიზაცია ფუნქციონირებს ფართო ქსელით: 3. ქვეყანაში ორსაფეხურიანი (იარუსიანი) საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.

ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ჰორიზონტალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩარჩოებში ყველა საკრედიტო საანგარიშსწორებო მომსახურების ანალოგიური ფუნქციების შესრულებისას ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება. აგებულების ასეთი ტიპი ძირითადად დამახასიათებელია, როგორც სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურების ქვეყნებისათვის, ასევე მართვის ტოტალიტარული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეჟიმის ქვეყნებისათვისაც.

ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ურთიერთობების ორ სიბრტყეში აგებულებაზე არის აგებული: ვერტიკალურზე და ჰორიზონტალურზე. ვერტიკალური ურთიერთობები ცენტრალურ ბანკს, რომელიც “ბანკთა ბანკის”, მმართველობის ცენტრსა და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას ითვალისწინებს. ჰორიზონტალური ურთიერთობები კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობებს ითვალისწინებს. [6]

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დღის წესრიგში დადგა არსებულ ეკონომიკური სისტემის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, რასაც მოჰყვა ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. ეს პროცესი საქართველოში სტიქიურად დაიწყო. 1989 წ. 20 ბანკი ფუნქციონირებდა, 1990 წლის ბოლოსათვის 200 გადააჭარბა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობითი საკრედიტო ორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები ეროვნული ბანკისა

და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. ამ კანონებით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცა თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა XXI საუკუნეში მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუ-მენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონ-მდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება

საბანკო სექტორში შედის:

- კომერციული ბანკები, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშსწორების განხორციელება და სხვ.

- შემნახველი ბანკები (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში - საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების პასიური ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოდგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შექენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბარათების გამოშვებას ახორციელებენ;

- საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში – საემისიო სახლები, საფრანგეთში – საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციაზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკებები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შეძენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკო სინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეძენის გარანტორები არიან;

- იპოთეკური ბანკები, ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოს ქვეშ ახორციელებენ. ამ ბანკების პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;

- საბანკო ჰოლდინგი, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობელ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა ჰოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე შერეული ჰოლდინგებიც არსებობენ, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებენ.

- სამიწათმოქმედო ბანკები (ძირითადად სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში);

- სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფართო განვითარება ჰპოვა სპეციალურმა არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ სპეციფიკური კლიენტურა ჰყავთ. თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

- სადაზღვეო კომპანიები, რომელთა შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და დახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ სანარმოებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს;

- საპენსიო ფონდები, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მენარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირება ძირითადად წარმოებს მენარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა სანევრო შენატანებისაგან. იმის გამო, რომ საპენსიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს, ისინი ამ სახსრებს აბანდებენ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში;

- ფინანსური კომპანიები, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

- საქველმოქმედო ფონდები. მათი განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველმოქმედება მენარმეობის ორგანული ნაწილი გახდა; მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა –

მოსახლების მდიდარი ფენა გაურბოდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფორმების შექმნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელოვნების, კულტურის, საეკლესიო დაწესებულებებს და სხვ.

- საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შექმნის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.[4, გვ.13-14]

ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, საკრედიტო სისტემის რაოდენობრივმა პარამეტრებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამაზე მეტყველებს ცხრილის მონაცემები /იხ. ცხრილი 1.1./

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა. საწყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ. თანდათან მიმდინარეობდა ბანკების შერწყმისა და განმსხვილების ტენდენცია. ამით იყო განპირობებული, რომ 228 კომერციული ბანკიდან 2009 წლისათვის ფუნქციონირებდა 20 ბანკი, ხოლო 2019 წლისთვის კი 15.

	1993 წ.	2001წ.	2004წ.	2009წ.	2015წ.	2018წ.	2019წ.
ბანკების რაოდენობა	228	29	21	20	19	16	15

სულ							
-----	--	--	--	--	--	--	--

ცხრილი 1.1 საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების რაოდენობა წლების მიხედვით

საკრედიტო ურთიერთობების თეორიული-მეთოდოლოგიური საფუძვლები დამუშავებული მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში, კრედიტის თეორიების ძირითადი მიმართულებებიდან აღსანიშნავია, კრედიტის, როგორც კაპიტალის ფორმირების თეორია, რომლის ფუძემდებლად გვევლინება ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ ლო (Jon Law). მისი აზრით კრედიტი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უკავია კვლავწარმოების პროცესისაგან დამოუკიდებელი მდგმარეობა. ამ თეორიის მიხედვით კრედიტი გაიგივებულია ფულთან და სიმდიდრესთან, ჯონ ლოს მოსაზრებით, კრედიტს გააჩნია უნარი, რომ მოძრაობაში მოიყვანოს ქვეყნის გამოუყენებელი საწარმოს შესაძლებლობები და შექმნას კაპიტალი და სიმდიდრე, თანაც იგი ბანკს მიაწერდა არა შუამავლის, არამედ კაპიტალის შემქმნელის როლს. სწორედ ამ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა კაპიტალის ფორმირების თეორიის არსი.

ჯ. ლოს ეკუთვნის საემისიო ბანკის ჩამოყალიბების იდეა, რომლითაც ქვეყანა საწარმოო ძალთა მოძრაობაში მოყვანასა და სიმდიდრის ზრდას მიაღწევდა. მთლიანობაში ჯ. ლის უტოპიურ იდეებს განხორციელება არ ეწერა. ამის ნათელი დასტურია, ის რომ ჯ.ლომ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრად მუშაობის პერიოდში (1720 წელს) საკუთარი კერძო ბანი გადააკეთა სახელმწიფო სამეფო ბანკად, დაიწყო ბანკნოტების გამოშვება და მათი ვერცხლზე გადახურდავება. მაგრამ არაუზრუნველყოფილი ფულის გამოშვებამ, გამოიწვია ფულის გაუფასურება. მიუხედავად ჯ. ლოს იდეების კრახისა, მან სწორად იწინასწარმეტყველა საკრედიტო ურთიერთობათა ფართო განვითარება მომავალში

ჯ. ლოს იდეები განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა კაპიტალის ფორმირების თეორია ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა მ. მაკლეოდმა. მასაც ფული და კრედიტი გაიგივებული ჰქონდა სიმდიდრესთან. იგი მიიჩნევდა, რომ კრედიტს მოაქვს მოგება, ამიტომ იგი მწარმოებლური კაპიტალია, ხოლო ბანკი კი წარმოადგენს კრედიტის მწარმოებელ საშუალებას ანუ ბანკი ქმნის კრედიტს და მისი საშუალებით ხდება კაპიტალის შექმნაც. მ. მაკლეოდის თეორიის მიხედვით არასწორად იქნა კრედიტის არსი გაგებული, იმის გამო, რომ ფული, კრედიტი და კაპიტალი, გაიგივებულ კატეგორიებად წარმოგვიდგინა. ფულისა და კრედიტის გაიგივება არასწორი იყო, რადგან ფული თავის მხრივ იყოფა ქალაქის და საკრედიტო ფულად. ხოლო ბანკი კაპიტალს ქმნის საკუთარი აქტიური ოპერაციებით.[3]

თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური სისტემის ფუნქციონირების რეალიზაციის გაბატონებულ მექანიზმს წარმოადგენს საფინანსო ბაზარი, რომლის შემადგენელი ნაწილკიცაა საკრედიტო ბაზარი. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი არის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველთა და გამყიდველთა კონტაქტში შესვლას და გარიგების განხორციელებას.

საკრედიტო ბაზარი თავის ფუნქციებს ასრულებს საკრედიტო ურთიერთობის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დაკრედიტების სპეციფიკურ ფორმებს, სახეებს და მეთოდებს. საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირება გარკვეული ხარისხით კავშირშია საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტთან. შესაბამისად საკრედიტო ბაზარი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ტრადიციული კვანძი სასესხო კაპიტალისა, სადაც მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება ფულადი კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ბაზრის სივრცე მოიცავს სასესხო კაპიტალს, რომელიც თავისში აერთიანებს ანაბრების და დეპოზიტების ბაზარს, კრედიტების მეორად ბაზარს და ნაწილობრივ ფულად და საფონდო ბაზრებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კრედიტის ფულადი ფორმა, რადგან ფული წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორმის გარეშე ქვეყანაში ნებისმიერი სამეწარმეო ფორმის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

საკრედიტო ბაზარი თავისი განვითარების მანძილზე თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. და განიცდის მოდიფიკაციას 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ საბანკო სექტორს არსებით კონკურენციას უწევს სპეციალური საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები, რომელთაგან პრიორიტეტულია არასაბანკო ორგანიზაციები. ამ ქვეყნებში მოქმედებს სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს არასაბანკო და საბანკო დაწესებულებების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებს. არასაბანკო დაწესებულებები კომერციული ბანკების მსგავსად ქვეყანის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დაკრედიტებას ახორციელებენ. ამასთან ერთად გარკვეულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაზოგების და შემოსავლების აკუმულაციას და სასესხო კაპიტალად ტრანსფორმირებას. სპეციალურ საკრედიტო ინსტიტუტებს ვიწრო სპეციალიზაცია განასხვავებს კომერციული საბანკო სექტორისაგან, რადგან კომერციული საბანკო სექტორი დღეისათვის უნივერსალურ საკრედიტო სფეროს განეკუთვნება ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში.

3.2 საქართველოს საკრედიტო ბაზრის მიმოხილვა კომერციული ბანკების მაგალითზე (სტატისტიკური ანალიზი და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები)

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.

საკრედიტო ურთიერთობები ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, თანამედროვე მსოფლიოში. მსოფლიო მეურნეობის გაფართოების, ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესებმა, არსებითი გავლენა მოახდინა საქონლის, მომსახურების, განსაკუთრებით კი კაპიტალისა და კრედიტის ნაკადების გაზრდაზე, ხოლო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეალიზაციის

ტექნოლოგიური ცვლილებები კი საკრედიტო ბაზარზე და მათი მონაწილეების ქმედებებზე.

როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში საკრედიტო ბაზარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. იმავდროულად ტრანსფორმაცია განიცადა მისმა სტრუქტურულმა და ინფრასტრუქტურულმა ელემენტებმა, რომლებიც უკვე არსებით გავლენას ახდენენ საერთო ეკონომიკურ ზრდაზე. საკრედიტო ბაზარზე გაღრმავდა მომქმედი ინსტიტუტების სპეციალიზაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბაზრის ინფორმაციულობამ და ტრანსფარენტულობამ, რამდენადაც გაჩნდა რეალური ეკონომიკის მანიპულაციის პროცესები.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ სექტორში გადამწყვეტია კომერციული ბანკები, რომლებიც უპირატესად აკრედიტებს მრეწველობასა და ვაჭრობას. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე.

დღეის მდგომარეობით საქართველოში არსებობს 15 ლიცენზირებული კომერციული ბანკი რომელიც ცხრილის /იხ. ცხრილი 1.2./ მეშვეობით მაქვს წარმოდგენილი. ბოლო წლებში ერთი მხრივ, ბანკების რაოდენობის შემცირება და მეორე მხრივ, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა და რაც მთავარია, საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება გვიჩვენებს, რომ საბანკო სექტორში კონკურენციისთვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, ან მათი ავტომატურად შემცირება, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონე და დინამიკაა.

მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი საბანკო სექტორისადმი ნდობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის. როგორც ვიცით გასულ წლებში ბანკების ნაწილი გაიყიდა, ნაწილი სხვა ბანკებს მიუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ შენაბრებები არ დაზარალებულან. ამასთან, ჩვენ არ გვქონია, რაიმე სერიოზული საბანკო კრიზისი.

ბანკი	ლიცენზირების თარიღი	ვებგვერდი
სს „თიბისი ბანკი“	20.01.1993 წ., N85	www.tbcbank.com.ge
სს „საქართველოს ბანკი“	15.12.1994 წ., N86	www.bog.ge
სს "ლიბერთი ბანკი" (ყოფილი სს "საქართველოს სახალხო ბანკი") (ყოფილი სს "აგრომრეწველბანკი")	10.02.1993 წ., N96	www.libertybank.ge
სს "ბაზისბანკი"	11.04.1993 წ., N173	www.basisbank.ge
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" (ყოფილი "გაერთიანებული ქართული ბანკი")	07.05.1995 წ., N 226- ა	www.vtb.com.ge
სს „ბანკი ქართუ“	09,01,1997 წ., N229	www.cartubank.ge
სს „პროკრედიტ ბანკი“ (ყოფილი სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი")	13.05.1999 წ., N233	www.procredibank.ge
სს „სილქ როუდ ბანკი“ (ყოფილი სს „ბითიფი ბანკი“, ყოფილი სს "აბრეშუმის გზა", ყოფილი სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“)	13.03.2001 წ., N238	www.bta.ge
სს „ზირაათ ბანკი საქართველო"	16.03.1998 წ., N231-1	www.ziraatbank.com.tr
სს " იშ ბანკი საქართველო"	30.07.2015 N368	www.isbank.ge
სს "ტერაბანკი"	25.01.2008 წ., N0110245	www.terabank.ge
სს "ხალიკ ბანკი საქართველო"	29.01.2008 წ., N0110246	www.halykbank.ge
სს " პაშა ბანკი"	17.01.2013 წ. N 909	www.pashabank.ge
სს " ფინკა ბანკი საქართველო"	06.08.2013 წ., N252	www.finca.ge
სს „კრედო ბანკი“	20.03.2017წ., N256	www.credo.ge

ცხრილი 1.2 საქართველოში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები [10]

2012-2017 წლებმა ნათლად გვიჩვენა, რომ საბანკო სისტემის განვითარების ტენდენციები, მიუხედავად მათ წინაშე არსებული პრობლემებისა და სერიოზული გამოწვევებისა, მთლიანობაში მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დადებითი შეფასებები და თავად საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესები, პირველ რიგში ბაზელი 3-ის მეტრიკაზე გადასვლა და ახალი საბანკო რეგულაციები, რაც უახლოეს წლებში რისკების შემცირებასთან ერთად და საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის.[7,გვ.51]

მინდა მაგალითად მოვიყვანო ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელმაც საკრედიტო სექტორში 20 წლიანი საქმიანობის შემდგომ 2017 წელს შეძლო საბანკო ლიცენზიის მოპოვება.


კრედიტ ბანკის წარმოშობა იწყება 1997 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაცია ცოლდ ვიუენის მეშვეობით, რომლის მისია გახლდათ მენარმეობრივად უმწეოთა და მცირე ბიზნესისთვის მდგრადი ფინანსური სერვისით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და ღარიბთათვის დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფი ბიზნესის უპირატესობით.

2005 წელს ორგანიზაცია დარეგისტრირდა, როგორც ადგილობრივი,დამოუკიდებელი, სამართლებრივი ერთეული, ვიუენთან კრედიტ ფონდი სახით. 2007 წელს კი როგორც შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტ. მას ლიცენზია მისცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მან 2010 წელს ლიდერი პოზიცია დაიკავა საქართველოში არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის, 43,172 მსესხებლის მომსახურებითა და 0.02 პროცენტი რისკით 3,960,677 ა.შ.შ. დოლარის პორტფელზე. 2015 წელი კრედიტ ბანკმა 177 მილიონი დოლარის პორტფელითა და 197 ათასი აქტიური მომხმარებლებით დახურა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 9 ახალი ფილიალი გაიხსნა და ფილიალების საერთო რაოდენობამ 59 შეადგინა. მომხმარებლებს საშუალება მიეცათ ისარგებლონ გზავნილებითა და სავალუტო ოპერაციებით. საბოლოო ჯამში, 2015

წლის ბოლო მონაცემებით კრედოს ბაზრის წილი აქტიური კლიენტების რაოდენობის თვალსაზრისით 51 პროცენტი შეადგინა, ხოლო ბაზრის ჭილი პორტფელის მოცულობის მიხედვით 2 პროცენტით გაიზარდა.

ორწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად, 20 მარტს, კრედო ბანკმა საბანკო ლიცენზია მოიპოვა. 2015 წლის დასაწყისში, მენეჯმენტმა და სამეთვალყურეო საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა კრედოს ბანკად ტრანსფორმაცია, კრედო ბანკის გუნდმა საკმაოდ ამბიციური მიზნების მიღწევა შეძლო, რაც გულისხმობს იმას, რომ 2017 წლის მდგომარეობით, კრედოს პორტფელმა 533 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო მომხმარებლების რაოდენობა 230 ათასამდე გაიზარდა.[9]

კრედო ბანკის განვითარების შესახებ /იხ. ცხრილი 1.3./.



ცხრილი 1.3 კრედო ბანკის განვითარების ეტაპები

ბოლო წლებში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მოსახლეობის ჭარბვალიანობა იქცა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, კომერციულ ბანკებში დავალიანების მქონე მოსახლეობის სიჭარბით საქართველო მსოფლიოში

მეორე ადგილზეა. სწორედ აღნიშნული პრობლემების დარეგულირებას ისახავს მიზნად ეროვნული ბანკის ახალი რეგულაცი.

2018 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა ახალი რეგულაციები, ბანკების მიერ ფიზიკური პირების დაკრედიტების თაობაზე.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ფიზიკურ პირებზე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულება. დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის მდგრად გავითარებას შეუწყობს ხელს. ამ რეგულაციის ძირითადი პრინციპის თანახმად, ფინანსურმა ინსტიტუტმა ფიზიკურ პირს არ უნდა დააკისროს სასესხო ან სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა) პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე. აღნიშნული პრინციპი ევროლირექტივების ერთ-ერთი მოთხოვნაა და ასევე წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

რეგულირება გავრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციაზე. სესხის გამცემი ვალდებულია სესხის გაცემისას შეაფასოს მომხმარებლის შემოსავალი, უზრუნველყოფის ღირებულება და გასცეს სესხი, რომლის ყოველთვიური გადასახდელი (PTI-მსესხბლის/თანამსესხებლის სესხზე ყოველთვიური გადასახდელისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობა.) და უზრუნველყოფის ღირებულება (LTV-უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხ(ებ)ის და იმ უძრავი ქონების სახით არსებული უზრუნველყოფილი საშუალების საბაზრო ღირებულების თანაფარდობა, რომელიც გამოიყენება აღნიშნული სესხ(ები)ის უზრუნველსაყოფად) ამ დებულებით დადგენილ ზღვრებს არ აღემატება /იხ. ცხრილი 1.4.-1.5./.

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლებისათვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

ცხრილი 1.4. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი

ლარით გაცემული სესხებისთვის	85%
უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის	70%

ცხრილი 1.5. სესხის უზრუნველყოფის მაქსიმალური კოეფიციენტი

აღნიშნული კოეფიციენტები განსხვავებული იქნება ადგილობრივი და უცხოური ვალუტის სესხებისთვის, რაც მიზნად ისახავს მსესხებლების და ფინანსური სისტემის დაცვას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული რისკებისგან.

სესხის გაცემისას, სესხის გამცემმა ორგანომ აუცილებლად უნდა შეამოწმოს შემოსავლები. ფიზიკური პირის შემოსავლის დასადასტურებლად გამოიყენება სახელფასო ამონაწერი, საბანკო ანგარიშიდან ან/და ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან. თუ არ არსებობს მსგავსი დოკუმენტი, ფიზიკური პირს სესხის აღების საშუალება არ ექნება.

დებულების თანახმად შეიზღუდა სესხის გადახდის ხანგრძლივობა, აქამდე თუ მეტნაკლებად თავად ირჩევდა მომხმარებელი სესხის აღების ვადას, ახლა სესხის გაცემის ახალი რეგულაციების მიხედვით, მაქსიმალური დრო განსაზღვრულია შემდეგნაირად : სამომხმარებლო სესხი (მათ შორის საკრედიტო ბარათი, ოვერდრაფტი, განვადება) მაქსიმუმ 4 წლიანი ვადით, ავტოსესხი მაქსიმუმ 6 წლიანი ვადით, იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 15 წლით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი კი 10 წლამდე ვადით შეიზღუდა.

დებულების პროექტზე მუშაობა მიმდინარე წლის ივლისიდან ღია რეჟიმში მიმდინარეობდა: პროექტი გამოქვეყნდა ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.


აქტიური შეხვედრები გაიმართა, როგორც ფინანსური სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დებულება სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის ერთდროულად, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

რეგულაციის შედეგებზე საუბარი ამ ეტაპისათვის საკმაოდ რთულია, რადგან ჯერ მცირე დროა გასული, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სებ-ის რეგულაციამ ეფექტი მოახდინა იმ ადამიანებზე, რომლებიც არ იყვნენ გადახდისუნარიანი და გარკვეულწილად, დაიცვა ისინი, არ აეღოთ სესხი, რომელსაც ვერ მოემსახურებოდნენ. მეორე მხრივ, საზოგადოება მიხვდა, რომ უფრო ფრთხილად იყვნენ ვალის აღებისას და ჰქონდეთ გარანტიები, ხოლო რისკები, რომლებიც ვალის აღებასთანაა დაკავშირებული უფრო მეტად გაანალიზონ.[11]

იმის დასადგენად თუ რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას საბანკო სექტორზე, რამდენად ინფორმირებულები არიან საბანკო პროდუქტებზე და ახალ რეგულაციაზე, რამდენად აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს კომერციული ბანკები, ჩავატარე მასობრივი გამოკითხვა (დანართი 1). არსებობს მასობრივი გამოკითხვის ორი ტიპი: ინტერვიუ და ანკეტირება. გამოკითხვის დროს უპირატესობა მივანიჭე ანკეტირებას, კონკრეტულად კი ელექტრონულ გამოკითხვას, რადგან ამ ხერხით კვლევაში მონაწილე პირები იქნებიან მიუკერძოებლები რათა მათი ანონიმურობა მეტად დაცულია.


კვლევის სამიზნე ჯგუფის არჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველას თანაბარი შანსი ქონდა მონაწილეობის მისაღებად.

კვლევაში გამოყენებული ელექტრონული ანკეტა შედგებოდა 11 კითხვისაგან. ჩატარებულ ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 223-მა ადამიანმა. მათ შორის 18 წლამდე ასაკის პირების რაოდენობა შეადგენდა 1, 18-24 წლამდე 22, 25-34 წლამდე პირთა რაოდენობა 120, 35-44 წლამდე 39, 45-54 წლამდე 24, 55-64 წლამდე 17, ხოლო 65 წელზე მეტი ასაკის მქონე პირებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ჩატარებული დროის ინტერვალი შეადგენდა 7 მაისიდან 7 ივნისამდე პერიოდს. კვლევაში მონაწილეთა ასაკობრივი მაჩვენებლები გამოხატულია




დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილე ჯგუფის ასაკი გამოსახული პროცენტებში

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკითხული რესპოდენტების დიდი ნაწილი 56,1 % უარყოფითადაა დამოკიდებული ახალი რეგულაციის მიმართ, კერძოდ სესხების გაცემასთან დაკავშირებით, ხოლო რესპოდენტების 31,8% -მა ეს რეგულაცია დადებითად შეაფასა ხოლო 11,2% კი საერთოდ არ ფლობს ამ რეგულაციის შესახებ ინფორმაციას.



დიაგრამა 2. მოსახლეობის დამოკიდებულება რეგულაციაზე


მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რის საფუძველზე არჩევს მოსახლეობა ბანკს/ბანკებს და რა არის მათთვის პრიორიტეტი ბანკის შერჩევის დროს. ამიტომ ანკეტის ერთ-ერთი კითხვა სწორედ ეს იყო. მონაცემები სრულადაა ასახული დიაგრამა 3 ზე.



დიაგრამა 3. მომხმარებლების პრიორიტეტები ბანკების შერჩევისას

როგორც დიაგრამაზეა ასახული მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის (57.8%) მნიშვნელოვანია ბანკის სტაბილურობა და საიმედოობა, ასევე დიდი ნაწილისათვის (14.8%) მნიშვნელოვანია ბანკის შერჩევის დროს უცხოელი მენეჯერები ან წილის მფლობელები, საკმაოდ დიდ ნაწილს (23.3%) კი შესაძლებელია ბანკის არჩევის საშუაებას არც კი აძლევს დამსაქმებელი, ხოლო ბანკის არჩევის დროს ყველაზე ნაკლებად მომხმარებელზე ზეგავლენას ახდენს სარეკლამო კამპანია რომელიც დიაგრამაზე საკმაოდ ნათლადაა ასახული (7.6%).


კვლევის პროცესში გამოკითხული მოსახლეობის 52.5% მიიჩნევს, რომ გარემო ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც მოქმედებენ სესხების გაცემის პირობებზე ბოლო 5 წლის განავლობაში გამკაცრდა, 29,4 %-ის აზრით რამდენადმე გამკაცრდა, მოსახლეობის 9 % თვლის, რომ სესხის გაცემის პირობები უცვლელი დარჩა, 5 % თვლის რომ რამდენადმე შემსუბუქდა, 2.7% მიიჩნევს რომ მნიშვნელოვნად შემსუბუქდა ხოლო 1.4%ისათვის საერთოდ გაურკვეველია არსებული ცვლილებები. მონაცემები ასახული დიაგრამა 4-ზე.



დიაგრამა 4. საბანკო რეგულაციის შედეგები


საინტერესო იყო კითხვარში მითითებული პუნქტების შეფასება დადებითად ან უარყოფითად მომხმარებლის მიერ მათ მომსახურე ბანკში/ბანკებში. პროდუქტების მრავალფეროვნება საბანკო სექტორში მომხმარებლების 45.7%-მა დადებითად შეაფასა. მომსახურების ხარისხი 44.8% დადებითად ხოლო 23.3 %-მა უარყოფითად შეაფასა. რაც შეეხება მომსახურების ტარიფს აქ მხოლოდ 24.7 % აფასებს დადებითად , ხოლო მოსახლეობის უარყოფითად დამოკიდებულება კი აქ ორჯერ მეტს შეადგენს 53.4 %. სადემოკრატიო პროდუქტების პირობებს დადებითად აფასებს 20.6% ხოლო უარყოფითი 23.3%

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დადგინდეს თუ რას ანიჭებს უპირატესობას მომხმარებლების უმრავლესობა , სესხის აღების დროს, როგორც კვლევამ გვჩვენა მომხმარებლისთვის პრიორიტეტულია საპროცენტო განაკვეთი რომელმაც გამოკითხულთა 38.1 % შეადგინა. სესხის ვადიანობა მნიშვნელოვანის 23.3 %ისთვის , სესხის დაზღვევა კი მნიშვნელოვანია 13.9 % ისთვის ხოლო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კი 23.8% -ს შეადგენს. მონაცემების უკეთ აღსაქმელად მოცემულია დიაგრამა 5.



დიაგრამა 5. მომხმარებლების პრიორიტეტები სესხის ადების დროს გამოსახული პროცენტებში.

საინტერესო იყო ასევე დაგვედგინა თუ რომელი საბანკო მომსახურებით სარგებლობდა მოსახლეობის დიდი ნაწილი.გამოკითხული მოსახლეობის 45.9% სარგებლობს სესხებით, 30.3 % ანაბრებით, 24.3 % გზავნილებით ოღო 38.1 % კი სხვა საბანკო მომსახურებით. მონაცემები ასახულია დიაგრამა 6.



დიაგრამა 6. საბანკო მომსახურების პროცენტული მაჩვენებელი

ყოველი ბაზარი და ბაზრის ყოველი სეგმენტი შედგება მომხმარებლებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან ქცევის ტიპით ბანკმა კლიენტებს უნდა შესთავაზოს სხვადასხვა მომსახურება, რაც ერთის მხრივ შეესაბამება კლიენტების მოთხოვნილებებსა და მოლოდინს, ხოლო მეორეს მხრივ, მოუტანოს ბანკს შემოსავალი. ხარისხის პოლიტიკის, პროდუქტების მოცულობის პოლიტიკისა და ბანკის ფასების პოლიტიკის მეშვეობით.

საბაზრო ასორტიმენტის სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილებას ბანკი იღებს ჯერ კიდევ მისი შექმნის ეტაპზე. ასორტიმენტი შეიძლება იყოს ვიწრო

(სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი) ან ფართო (უნივერსალური ბანკი), რომელთაც თავანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვთ. ვიწრო ასორტიმენტის უპირატესობა ვლინდება – მომსახურების განსაკუთრებული ხარისხისა და ხარჯებზე განეულ ეკონომიაში, მთავარი ნაკლოვანება კი – შედარებით ვიწრო საბაზრო სექტორში არსებულ კონიუქტურაზე დამოკიდებულება და, ამის გამო, მნიშვნელოვანი სამენარმეო რისკი; ფართო ასორტიმენტის უპირატესობებია მიმზიდველობა როგორც კლიენტის, ისე ბანკისათვის, ბანკის სიმძლავრეების თანაბარი დატვირთვა, განონასწორებული ფასწარმოქმნის შესაძლებლობა, სამენარმეო რისკის გადანაწილება.

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ასორტიმენტის ცვლილება მარკეტინგ-მიქსის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი გახდა და განვითარებული ქვეყნების ბანკები ამჟამად 300-ზე მეტი სახის მომსახურებას უწევენ თავიანთ კლიენტებს. ამასთან, მიმდინარე ასორტიმენტი იცვლება, რაც არ არღვევს მის საბაზო მიმართულებას. მიმდინარე ასორტიმენტის ამგვარ ცვლილებას მოქნილი ასორტიმენტის პოლიტიკა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ბანკების ასორტიმენტულ პოლიტიკას ბოლო ათწლეულებში შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

ჯერ ერთი, პრაქტიკულად უკვე ამონურულია მომსახურებათა ასორტიმენტი ყველა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით, რის გამოც არსებით ასორტიმენტულ ინოვაციებს უახლოეს მომავლაში არ უნდა ველოდოთ. უფრო მეტიც, პერსპექტივაში ასორტიმენტი შესაძლოა შემცირდეს კიდევ.

მეორე, დანახარჯების ზრდამ გამოიწვია მიმდინარე ასორტიმენტის პოლიტიკის აშკარად გამოხატული ორიენტაცია რენტაბელობის ამაღლებაზე, რაც ვლინდება დანახარჯების შემცირებასა და ამონაგების გადიდებაში.

მესამე, ურთიერთშემავსებელ მომსახურებათა გაერთიანება „პაკეტებად“. ხშირია შემთხვევები, როდესაც მათზე პასუხს აგებს ე.წ. პერსონალური ბანკირი, რომელიც მოცემულ კლიენტს ემსახურება.

მეოთხე, ე.წ. გადაჯვარედინებული გაყიდვა, რომლის დროსაც შემთხვევითი კლიენტი მუდმივ კლიენტად შეიძლება იქცეს, თუკი მას მრავალი მომსახურების მიღების სურვილს აღუძრავენ.[8]

ამრიგად, საკრედიტო ინსტიტუტის ასორტიმენტული პოლიტიკა გულისხმობს ასორტიმენტის ფართო ან ვიწრო საბაზო ფარგლების განსაზღვრას და მისი შესრულების გამუდმებულ კონტროლს.


ხარისხის პოლიტიკა. უცხოელ ეკონომისტთა კვლევების თანახმად, თავაზიანი და კვალიფიციური მომსახურება მომხმარებლების მიერ ბანკის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია. კერძოდ, გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვა ადასტურებს, რომ მომხმარებელთა 20%-მა მათი მომსახურე ბანკის შეცვლის მიზნად მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი დაასახელა. მიუხედავად ამისა, იმის თაობაზე, თუ რას უნდა ვუწოდოთ საბანკო მომსახურების ხარისხი, ერთიანი აზრი არაა ჩამოყალიბებული.

კლიენტის თვალსაზრისით, ხარისხის კრიტერიუმებია, მომსახურების სისწრაფე, ოპერაციების განხორციელების ვადიანობა, შეცდომებისა და უზუსტობების რაოდენობა, ბანკის მუშაობის საათები და ა.შ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს მომხმარებლები ფასებს უდარებენ.

საბანკო სექტორში არსებული მძაფრი კონკურენტული გარემოდან გამომდინარე, მნიშვნელოვალ როლს ასრულებს საბანკო მარკეტინგის სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: ბანკის ამოცანების, მიზნების, შესაძლებლობების განხილვას; საბაზრო შესაძლებლობების, ინფორმაციის ანალიზს, ბანკის მიკროგარემოს და მაკროგარემოს შესწავლას, ბაზრის სეგმენტირებას, ბანკის სტრატეგიული გეგმის შედგენას, პოტენციური კლიენტების გამოვლენას, სტრატეგიული გეგმის განხორციელების პირობების განსაზღვრას. მარკეტინგის კომპლექსის დანერგვას, კერძოდ, პროდუქტიული, ფასობრივი, გასაღების, კომუნიკაციების, რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, მარკეტინგული კონტროლის სისტემას.

მარკეტინგის სტრატეგიის განხორციელებისას ბანკმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოყოს მიზნობრივი კლიენტების რაოდენობა, რომელთანაც მას აქვს

პრიორიტეტული ურთიერთობანი და რომელთა მომსახურებაზე იხარჯება მისი რესურსების დიდი ნაწილი. ბანკის მომგებიანობის, გადახდისუნარიანობის ამალღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი პროდუქციის მუდმივ დივერსიფიკაციას, ინოვაციურ საქმიანობას. ბანკის წარმატებისათვის აუცილებელია სწორად გათვალოს სტრატეგიები, რათა მაღალი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს ძველი და მიიზიდოს ახალი მომხმარებლები./იხ. ცხრილი 1.6. /



ცხრილი 1.6 კომერციული ბანკის მარკეტინგული სტრატეგია

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ბანკებს უნევთ კონკურენტულ გარემოში ყოფნა. იმარჯვებს ის, რომელსაც გააჩნია სწორი მენეჯმენტი და მარკეტინგული მიდგომები. მარკეტინგული მიდგომები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის განვითარებაში და გაფართოებაში. აქედან გამომდინარე თითოეული ბანკი ცდილობს რაც შეიძლება

მეტად დამაინტერესებელი იყოს და ასევე ცდილობენ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას და ათობით პროექტებში სპონსორობის გაწევას. ყოველივე ეს მათ იმიჯზე მეტყველებს. მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მომხმარებლის განწყობაზე მოქმედებს, როგორც საბანკო შეთავაზებები (მაგ. დაბალი საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, მაღალი საპროცენტო შეთავაზება ანაბრებზე და ბევრი სხვა.) კონკრეტული ბანკის მიერ, ასევე მათ დამოკიდებულებაზე მოქმედებს ბანკის/ბანკების აქტივობები სხვადასხვა პროექტების დამფინანსებლის ამჟღავნებაში ყოფნა. მინდა მოვიყვანო რამდენიმე წამყვანი ბანკის მაგალითი, სადაც ისინი გვევლინებიან ამა თუ იმ პროექტების სპონსორებად, და მხარდამჭერებად.

„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად გამოყოფილი 1 მილიონი ლარის მოცულობის დაფინანსების ფარგლებში, მეორე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. პირველი საგრანტო კონკურსი „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ 2014 წლის თებერვალში გამოაცხადა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერის მიზნით 13 პროექტი დააფინანსა. საერთო მოცულობით 300 000 ლარი.

საქართველოს ბანკის დაფინანსებით განხორციელდა თბილისის რამდენიმე საკვანძო გამზირისა და ქუჩის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ამ პროექტისთვის საქართველოს ბანკმა გამოყო 200 000 ლარი.

საქართველოს ბანკმა და მის ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა, 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მიზნით 1,3 მილიონი ლარის მობილიზების თაობაზე განაცხადეს. თბილისის მერიასთან ერთობლივი გადამწყვეტილებით, აღნიშნული თანხა გადაირიცხა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად მერიის მიერ შექმნილ სპეციალურ ანგარიშზე და სრულად მოხმარდა მათი მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

საქართველოს ბანკის დაფინანსებით თბილისში ახალი მრავალპროფილიანი კლინიკა „Innova“ გაიხსნა. საქართველოს ბანკი აქტიურად უჭერს მხარს ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების კუთხით და მომავალში განაგრძობს დაკრედიტებას, ეკონომიკურად გამართლებული პროექტების მხარდასაჭერად.

საქართველოს ბანკის და კომპანია „ნებულას“ შორის თანამშრომლობის შედეგად, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე აბიტურიენტებს, საშუალება ექნებათ ზოგადი უნარების გამოცდისთვის, სრულიად უფასოდ მოემზადონ. საქართველოს ბანკის დაფინანსებით, ყველა აბიტურიენტს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ საშუალება აქვს სრულიად უფასოდ დარეგისტრირდეს ონლაინ კურსზე და მოემზადოს ეროვნული გამოცდებისთვის. საქართველოს ბანკისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლება.

საქართველოს ბანკმა პირველი ქართული საბანკო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი შექმნა. საქართველოს ბანკის მხრიდან აღნიშნული ინიციატივა არის იმ პასუხისმგებლობის ნაწილი, რომელიც ბანკს მომხმარებლების და საზოგადოების წინაშე აქვს. მომხმარებელს ხშირად უწევს საბანკო კონტრაქტების თუ პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიღება, სადაც სწორედ საბანკო ტერმინები ხვდება. ამ გადადგმული ნაბიჯით მოხდება ფინანსური განთლების გავრცელება მთელ ქვეყანაში.

საქართველოს ბანკი Mastercard ბარათის მფლობელებს შესაძლებლობას აძლევს ჩემპიონთა ლიგის ფინალს დაესწროს. მომხმარებელი ვინც, საქართველოს ბანკის Mastercard-ის ბარათით ყველაზე მეტ ტრანზაქციას განახორციელებს, აქციის ფარგლებში სხვადასხვა პრიზები გადაეცემა.

საქართველოს ბანკმა საქველმოქმედო ფონდების ერთიანი ონლაინ პლათფორმა შექმნა. ხსენებული პლათფორმის საშუალებით ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს ონლაინ რეჟიმში მარტრივად გადარიცხოს თანხა მისთვის სასურველ ფონდში. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის ანგარიშზე ისახება ზუსტად ის თანხა რასაც მომხმარებელი გადარიცხავს, ანუ არ ეჭრება არანაირი საკომისიო.

თბს ბანკმა 400-მდე გამარჯვებული დაასაჩუქრა ვიზა ფესტივალის პირველი გათამაშების ფარგლებში.

თიბისი ბანკმა ონლაინ ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა. მოსწავლეებს ნებისმიერ დროს შეუძლია ჩაერთონ ოლიმპიადაში, გადაამონმონ

ცოდნა და გამარჯვების შემთხვევაში სხვადასხვა უნივერსიტეტების სასწავლო ვაუჩერები ან სხვა წამახალისებელი პრიზები მოიპოვონ.

„რაგბი ჩვენი თამაშია“ - თიბისი ბანკი საქართველოს რაგბის კავშირის და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორია. მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თიბისი ბანკი საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის ეროვნული ნაკრების, საქართველოს რაგბის ყველა ასაკობრივი ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორია. ასევე, თიბისი ბანკი ეროვნული შვიდკაცა ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი იქნება. საქართველოს რაგბის კავშირისა და თიბისი ბანკის თანამშრომლობის მთავარი მიზანია, ქართულ საზოგადოებაში დაინერგოს რაგბი და სარაგბო ღირებულებები, რაგბი გახდეს ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი და გაძლიერდეს მისი პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ვითიბი ბანკის სპონსორობით ბათუმში სპორტულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. სპონსორობის გარდა, ვითიბი ბანკი აქტიურად ეხმარება ფედერაციას სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში და მათ შორის აღნიშნული ტურნირის ჩატარებაში. ვითიბი ბანკის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მომავალი და დღევანდელი სპორტსმენების წინსვლისთვის, სპორტული ტანვარჯიშის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის საქართველოში.

ვითიბი ბანკის მხარდაჭერით ქართველ მოფარიკავეები მსოფლიო თასის გათამაშებაზე გაემგზავრნენ. ვითიბი ბანკი აქტიურად აგრძელებს ქართული სპორტის მხარდაჭერას.

ვითიბი ბანკსა და საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნულ ფედერაციას შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ვითიბი ბანკი საქართველოს ნიჩბოსანთა 18 წლამდე ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა. სპონსორობის პერიოდში, ვითიბი ბანკის მიერ განხორციელებული ფინანსური მხარდაჭერა, მოხმარდება სპორტსმენების საშეჯიბრო მომზადებას, ეკიპირებასა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას.

დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა ფინანსური ბაზრის არსი და მისი ფუნქციონირების მექანიზმი. განხილულია ფინანსური ბაზრის ძირითადი ფუნქციები, მისი ინსტრუმენტები, ასევე ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის ფორმირების საერთო პრინციპები. ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება. განვითარებული ფინანსური ბაზრები ქვეყანაში საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის, ინვესტიციების ზრდის და ადგილობრივი ფინანსური რესურსის ეფექტიანი გადანაწილების წინა პირობაა. საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითად წყაროს კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია. ფინანსური ბაზარი ზრდის მომხმარებელთა კეთილდღეობას. მათი დახმარებით ადამიანებს საშუალება ეძლევათ მიიღონ სესხები მათთვის აუცილებელი ნივთების შესაძენად. ფინანსური ბაზრის ფუნქციონირება ხელს უწყობს საზოგადოებაში თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას.

დაზუსტებულია, რომ კრედიტორები არის ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც გასცემენ სესხს დროებით გამოყენების მიზნით და სათანადო

პროცენტის გადახდით. მათი ძირითადი ფუნქციებია: ფულადი აქტივების (საკუთარი და ნასესხები) გაყიდვა მსესხებელზე კრედიტორები შეიძლება იყოს: სახელმწიფო, კომერციული ბანკები, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები.

დაკონკრეტებულია, რომ ემიტენტები არიან ფინანსური ბაზრის სუბიექტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემისიის) ხარჯზე საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვას ახორციელებენ, ფინანსურ ბაზარზე ემიტენტები უშუალოდ ფასიანი ქაღალდების გამყიდველის როლში გამოდიან. ფასიანი ქაღალდების ემიტენტებად შეიძლება იყოს სახელმწიფო და სააქციო საზოგადოები იურიდიული პირის სახელით.

შეთავაზებულია საკრედიტო ბაზრის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები :

1. ფულადი აქტივები ;
2. ჩეკები ;
3. აკრედიტივები ;
4. თამასუქები ;
5. საგირავნო საბუთები ;
6. საკრედიტო ბაზრის სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები .

დაკონკრეტებულია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მასზე **მოთხოვნის** ფორმირებას ახორციელებენ **ინვესტორები**, ხოლო **მიწოდებას** - სხვადასხვა ფონდური ინსტრუმენტების **ემიტენტები**. შესაბამისად, აღნიშნულ ბაზარზე გამოდის ფასიანი ქაღალდების ცალკეულ სახეობებზე კვოტირებული საბაზრო ფასები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი, ტომი II - თბილისი, გამომცემლობა „გრალი“, 2011. – 702 გვ.
2. კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი , 2001 წ.
3. კაკულია რ., გედევან ხელაია, ფუის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, 2000წ.-187გვ.
4. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსძა ფ. _ საბანკო საქმე. თბილისი 2009. 295გვ.
5. მოსიაშვილი ვ. - ფულის მიმოქცევა და კრედიტის თეორიები. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2009. – 246 გვ.
6. ცაავა გ.- „საბანკო საქმე - ლექციების კურსი“, - თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2005, - 663 გვ.

7. ცუცქერიძე გ., გულბანი შ., საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციები 2012-2018 წლებში, 118 გვ.
8. Никитина Т.В. – Банковский менеджмент: Стратегия и планирование, анализ деятельности, рейтинговые оценки – СПб Питер, 2002 г. -160 с.
9. <https://credo.ge/ka/events/>
10. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>
11. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545>

დანართი №1

ანკეტა

- 1) რის საფუძველზე შეარჩიეთ ბანკი/ბანკები, რომლის მომსახურებითაც სარგებლობთ?
 - ა) სანდოობა
 - ბ) სტაბილურობა / საიმედოობა
 - გ) უცხოელი მენეჯერები ან წილის მფლობელები
 - დ) ფილიალების / ბანკომატების ხელსაყრელი მდებარეობა
 - ე) ბანკის სარეკლამო კამპანია
 - ვ) სახელფასო ანგარიში გამიხსნა დამქირავეებელმა ორგანიზაციამ
 - ზ) სხვა

- 2) რომელი ბანკის მომსახურებით სარგებლობთ?
- ა) საქართველოს ბანკი
 - ბ) თიბისი ბანკი
 - გ) კრედიო ბანკი
 - დ) ლიბერთი ბანკი
 - ე) სხვა
- 3) რომელი საბანკო პროდუქტით სარგებლობთ?
- ა) ანაბრები
 - ბ) სესხები
 - გ) გზაფარილები
 - დ) სხვა მომსახურება
- 4) ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელს შეათვალთ დადებითად თქვენს მომსახურე ბანკში?
- ა) პროდუქტების მრავალფეროვნება
 - ბ) მომსახურების ხარისხი
 - გ) მომსახურების ტარიფები
 - დ) დისტანციური საბანკო მომსახურება
 - ე) სადემოკრატიო პროდუქტების პირობები
 - ვ) სხვა
- 5) ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელს შეათვალთ უარყოფითად თქვენს მომსახურე ბანკში?
- ა) მომსახურების ხარისხი
 - ბ) მომსახურების ტარიფები
 - გ) დისტანციური საბანკო მომსახურება
 - დ) სადემოკრატიო პროდუქტების პირობები
 - ე) სხვა
- 6) განვლით თუ არა მომსახურე ბანკი ინფორმაციას პროდუქტების პირობების ცვლილების შესახებ?

- ა) რეგულარულად
 - ბ) მხოლოდ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში
 - გ) არ მანვდის
 - დ) პროდუქტის პირობები არ შეცვლილა
- 7) თქვენი აზრით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში რამდენად შეიცვალა სესხების პირობები?
- ა) გამკაცრდა
 - ბ) რამდენდმე გამკაცრდა
 - გ) უცვლელი დარჩა
 - დ) შემსუბუქდა რამდენადმე
 - ე) მნიშვნელოვნად შემსუბუქდა
 - ვ) გაურკვეველია
- 8) როგორ აფასებთ ახალ რეგულაციას სესხების გაცემასთან დაკავშირებით?
- ა) დადებითად
 - ბ) უარყოფითად
 - გ) არ ვფლობ ინფორმაციას
 - დ) სხვა
- 9) რას ანიჭებთ უპირატესობას სესხის აღების დროს?
- ა) საპროცენტო განაკვეთს
 - ბ) სესხის ვადას
 - გ) სესხის დაზღვევას
 - დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილს
- 10) 5 ბალიანი სისტემიდან რამდენი ბალით შეაფასებდით კომერციული ბანკების საკრედიტო პროდუქტების პირობებს?
- ა) 1 ბალიანი ცუდი
 - ბ) 2 ცუდი
 - გ) 3 საშუალო
 - დ) 4 კარგი

ე) 5 ძალიან კარგი

11) თქვენი ასაკი?

ა) 18 წლამდე

ბ) 18-24

გ) 25-34

დ) 35-44

ე) 45-54

ვ) 55-64

ზ) 65 და მეტი